ოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

საქარ. კპ ცენტრალ. კომიტ. ტფილ. და სახ. საქარ. მ., ბ., წ.-არმ. და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 (მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 სარ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: საქართველოში 100 000 მ. ქართ. ბონებით. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 5000 მან.
ქართ. ბონებით ყველგან

№ 224 ხუთშაბათი, 28 სექტემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 28 სექტემბერი 1922 წ. № 224

ცენტრალურ აღმასკომის სესია

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის დად- ილების თანახმად ამა წლის სექტემბრის 30-თვის მოწვეულია სრულიად ართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი ია, შემდეგი დღიური წესრიგით:

1) მოხსენება ს—ს ცაკის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ (მომხსენე- ელია ფ. მახარაძე).
2) პროექტი სამაზრო და თემთა აღმასკომების რეორგანიზაციის შე- ებ (მომხსენებელია შინ. საქმეთა სახ. კომის. ს. გეგეჭკორი).
3) მიწად-მოწყობის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ ომხსენებელია მიწად-მოქმედების სახ. კომ. ს. თოდრია).
4) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი (მომხსენე- ელია ს. ქავთარაძე).
5) პროექტი დებულებისა ადვოკატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. ვთარაძე).
6) პროექტი დებულებისა პროკურატურის შესახებ (მომხსენებელია ავთარაძე).
7) საერთო დებულება გადასახადთა სისტემის შესახებ (მომხსენებე- ფინანსთა სახ. კომისარი).
8) მოხსენება შიმშილზე (მომხსენებელია ფ. მახარაძე).

რადგან განსახილველი საკითხი ფრიად საყურადღებოა, დასწრება ცა- ყველა წევრებისათვის აუცილებელია.

0—4 ს—ს ცაკის პრეზიდიუმი.

ხუთშაბათს 28 სექტემბერს,
ალაქის აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში
გაიმართება
კომუნალურ განყოფილების სექციის წევრთა
პირველი საორგანიზაციო
სხდომა
ხოვ ყველა იმ ამხანაგებს, რომელნიც ჩაეწერენ აღნიშნულ სექციაში გამოცხადდენ თავის დროზე
ხდომა დაიწყება საღამოს 6 საათზე

მდივანი **ხუნდაძე.**

რუსეთი და ახლო-აღმოსავლეთის საკითხი

როგორც ვიცით, მოკავშირეებს ზრახვა აქვთ მოიწვიონ კონფე- ცია ახლო-აღმოსავლეთის საკი- ების მოსაგვარებლად. საამისო ნო- მი, რომლითაც ანტანტამ მიმართა მალეთს, ამ მომავალ კონფერენ- ს მონაწილეებად დასახელებულია დეგი სახელმწიფოები: დიდი ბრი- ეთი, საფრანგეთი, იტალია, ია- ნია, რუმინია, სამხრეთ სლავია, მალეთი და საბერძნეთი. სიტყვაც არი ნათქვამი საბჭოთა ფედერა- ს შესახებ.

ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ იმპე- ალისტური ომის დროს დღევან- ლმა მოკავშირეებმა, რომელიც მა- ი იყვნენ აგრეთვე მეფის რუ- თის მოკავშირენიც, „სცნეს" სეთის უფლებები სტამბოლსა სრუტეებზე და „დაუთმეს" მას ეს ფლიოთ მნიშვნელობის პუნქტები. იყო, რა თქმა უნდა, აბუჩად აგ- ბა ოსმალეთის ხალხის უფლებე- და ინტერესების და მეფის რუ- ის უკიდურესი იმპერიალიზმის ოხატულება.

შემდეგ ამბებმა სხვა მიმართუ- ება მიიღო. რუსეთი რევოლიუციის ით გამოვიდა იმპერიალისტურ ომის ალიდან, ცენტრალური კოალიციის მარცხების შემდეგ, სტამბოლს და უტეებს თვით მოკავშირენი (უმთა- ესად ინგლისი) დაეუფლენ.

რევოლიუციონური, საბჭოთა რუსე- რასაკვირველია, მეფის რუსეთის ერიალისტურ პოლიტიკას ვერ გაა- ძელებდა. მაგრამ ამავე დროს ებრ- ს ანტანტის იმპერიალისტურ პო- ტიკას ახლობელ აღმოსავლეთში მალეთის დამონებას ანტანტის ერ, ამ უკანასკნელის ბატონობას ამბოლსა და სრუტეებში, და ეს ა მარტო იმიტომ, რომ დიდი სა- ოთა რესპუბლიკა იცავს დაჩაგრულ მალეთს, არამედ იმიტომაც, რომ სასიცოცხლოდ დაინტერესებუ- ა სრუტეების ბედით. იგი მოწა- ნებულია სრუტეებზე ისეთი რეჟი- დამყარების, რომელიც ერთი მხრივ უზრუნველყოფს ოსმალე- ს სუვერენიტეტს, მეორე მხრივ ხელს შეუწყობს საბჭოთა ფე- რაციის ეკონომიურ ურთიერთო- გაჩაღებას ევროპასთან. 1921 ლს დადებული რუსეთ-ოსმალეთის ლშეკრულება სწორედ ასეთი ში- არსის მატარებელია. რუსეთი აღი- ებს ოსმალეთის უდავო უფლებას ამბოლსა და სრუტეებზე, ხოლო მალეთი სცნობს სრუტეების თავისუფლებას მშვიდობიანი ვაჭრობისა და ტრანსპორტისათვის. ესაა საკითხის ერთად ერთი სამართლიანი და მიზანშეწონილი გადაწყვეტა. ასეთ თვალსაზრისს დაიცავს ის კონფერენციაზე, თუ იქნება მოწვეული. საბჭოთა მთავრობამ კიდეც მისცა ოფიციალური წინადადება მოკავშირეებს ისეთი კონფერენციის მოწვევისა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ყველა დაინტერესებული სახელმწიფოები. ნოტაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ასეთ სახელმწიფოთა რიცხვს, ოსმალეთის შემდეგ, პირველ ყოვლისა ეკუთვნიან რუსეთი, უკრაინა და საქართველო. ცხადია, სრუტეების საქმეები უნდა მოაგვარონ ურთიერთი შეთანხმების ნიადაგზე პირველ ყოვლისა შავი ზღვის ნაპირებზე მდებარე ქვეყნებმა. ანტანტა კი სხვანაირად იქცევა და ეს საკითხი სურს გადაჭრას საბჭოთა ფედერაციის გარეშე. თუ ეს მოხდა, ამ გადაწყვეტილებას ისეთივე ბედი ეწვევა, როგორიც წილად ხვდა მოკავშირეთა არა ერთ და ორ ხელშეკრულებებს და დადგენილებათ, რომელნიც დადებულ და გამოტანილ იქნენ საბჭოთა რესპუბლიკების დაუდასტურებლად. ე. ი. ისინი დარჩებიან უსიცოცხლო აქტებად, ქაღალდის ნაგლეჯებად; ვინაიდან ცხადია რომ საბჭოთა მთავრობა არავის მისცემს ნებას გვერდი აუხვიონ მშრომელთა ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესებს.

მეორე მხრივ აღსანიშნავია, რომ თვით ოსმალეთის ინტერესს შეადგენს, რათა რუსეთმა მიიღოს მონაწილეობა განზრახულ კონფერენციაში და სტამბოლის და სრუტეების საკითხის გადაჭრაში. ოსმალეთი რუსეთზე უკეთეს დამცველს ვერ იშოვის, რომ ეს საკითხი გადაწყდეს სწორედ ოსმალეთის სასარგებლოდ. ამიტომაცაა, რომ ოსმალეთი კატეგორიულად მოითხოვს, რათა რუსეთიც იქნეს მოწვეული მომავალ კონფერენციაზე. ჩვენ არ ვიცით, რას იტყვიან მოკავშირენი, მიიწვევენ თუ არა ისინი რუსეთს, მაგრამ ერთი კი ცხადია, სახელდობრ ის, რომ ამის გარეშე შეუძლებელია საკითხის ასე თუ ისე სასურველად გადაჭრა, რამდენადაც ამაზე შეიძლება ლაპარაკი დღევანდელ კაპიტალისტურ პირობებში,—როგორც ოსმალეთის უფლებების დაცვით, ისე დაინტერესებულ ქვეყნების სასარგებლოდ.

თუ მოკავშირენი უარყოფენ რუსეთის წინადადებას, ცხოვრების ლოღიკა დღეს თუ ხვალ მაინც თავისას გაიტანს და საკითხი გადაიჭრება, როგორც ამას ხალხთა ინტერესები მოითხოვს, მაგრამ ეს მოხდება არა ლოიდ ჯორჯის და პუანკარეს ხელით, არამედ ამ მსოფლიო მძარცვლების და მათი წყობილების დამარცხების გზით, რევოლიუციის გზით. ბატონმა კაპიტალისტებმა ეს უნდა გაითვალისწინონ.

2 ნახ. ინტერნაციონალის სიკვდილის წინ

თავისი დასაფლავების ცერემონიალის გამოსამუშავებლათ ფრანკფურტში შეიკრიბნენ ვაჟბატონები 2 ნახევ. ინტერნაციონალიდან. როგორც მოსალოდნელი იყო ასეთ სერიოზულ შემთხვევაში, გერმანიიდან ჩამოვიდენ კრისპინი და ლედებური, საფრანგეთიდან ბრაკე და ლონგე, ინგლისიდან უოლხიდი, ავსტრიიდან ადლერი, შვეიცარიიდან გრაბერი და გრიმი, ჩეხო სლოვაკიიდან ჩერმაკი, ამერიკიდან ბიძაები—ხილკიტი, ლიი და პანკენი (ვინაიდან მათი პარტია ძლივს ძლივობით ლაფავს სულს, დოლარები არ ჩამოუტანიათ), და ბოლოს, ჩვენი გმირებიც: მარტოვი და უკვე ყველასგან დავიწყებულ მემარცხენე ესერების პარტიის წარმომადგენელი შრეიდერი. მათ ორი რეზოლიუცია მიიღეს: ერთი 2 ნახევ. ინტერნაციონალის მთავარი ყავარჯენის—დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატების დასამარების და მეორე—მთელი 2 ნახევ. ინტერნაციონალის დასაფლავების შესახებ.

რეზოლიუცია დამოუკიდებელთა შეიდემანელებთან გაერთიანების შესახებ საუცხოვო ნიმუშს წარმოადგენს. იგი ერთ სიტყვასაც არ სძრავს 2 ნახევ. ინტერნაციონალის პოზიციაზე არა მარტო დემოკრატიისა და დიქტატურის საკითხის შესახებ, არამედ ბურჟუაზიასთან კოალიციაზეც-კი. ის თხოულობს მხოლოდ, რომ გაერთიანება მოხდეს სწორუფლებიანობის საფუძველზე, გაერთიანებულ სოც.-დემოკრატიის წევრებს ნება ჰქონდეთ კვლავ „იდგნენ 2 ნახევ. ინტერნაციონალის თვალსაზრისზე" და რომ გერმანიის გაერთიანებულ სოც.-დემოკრატიულ პარტიამ ერთნაირათ მოექცეს ორივე ინტერნაციონალს, მე-2 რესაც და 2 ნახევარსაც. რაც შეეხება „თვალსაზრისზე დგომის" ნებართვას, შეიდემანი უთუოდ ნებას დართავს დამოუკიდებელთ იდგნენ, სადაც სურთ, თუ კი ისინი შევლენ ბურჟუაზიასთან კოალიციის თავლაში. რას ნიშნავს მოთხოვნილება გაერთიანებული პარტიის მიერ მე-2 და 2 ნახევ. ინტერნაციონალის მიმართ თანასწორი დამოკიდებულებაზე? ეს ნიშნავს იმას, რომ 2 ნახევ. ინტერნაციონალი მოითხოვს, რათა იგი მე 2 ინტერნაციონალში არა მარტო აირიცხებოდეს, არამედ მან ხელთ აიღოს ორივე, ეგრეთ წოდებულ, ინტერნაციონალის გაერთიანების ინიციატივა. ამ მოთხოვნილებას არ შეიძლება ამის გარდა სხვა აზრი ჰქონდეს, ვინაიდან, თავის თავად ცხადია, გაერთიანებული სოც.-დემოკრატია შეუძლებელია ერთბაშათ ეკუთვნოდეს ერთსაც და მეორესაც.

საერთაშორისო შექმნილ ურთიერთობათა შესახებ საერთო რეზოლიუცია ააშკარავებს, თუ რისთვის არჩევს 2 ნახევ. ინტერნაციონალი ასეთი დასამარებას და არა თანდათანობითი გაქრობას. ის აღნიშნავს ხოლმე ვენის ინტერნაციონალის მთელ სასახელო ისტორიას. აკი ის დაიბადა 1 ნახევ. წ. წინეთ ყველა ინტერნაციონალების გასაერთიანებლათ, გასწია კიდეც დიდი მუშაობა, მაგრამ მიაღწია ისეთ შედეგებს, როგორსაც არ მოელოდა. 1922 წ. თებერვალში მან გამოიმუშავა რეზოლიუცია იმის შესახებ, თუ რამდენი უნდა დაუთმოს გერმანიას ბ-მა პუანკარემ თავისი ანგარიშებიდან. შემდეგ ის გაემგზავრა ამსტერდამის თათბირზე გერმანიის რესპუბლიკის დასაცავათ, და ის გამოვიდა ბერლინის კონფერენციის ინიციატორად. აღნუსხა რა ისტორიის წინაშე ყოველივე ეს თვისი მოღვაწეობა, 2 ნახევ. ინტერნაციონალმა დაივიწყა სულ უბრალო რამ, სახელდობრ ის, რომ მის დროშაზე წარწერილი იყო პროლეტარიატის დიქტატურისთვის ბრძოლა და ამ დროშას პროლეტარიატის დიქტატურასთან ერთად იგი ხმაგაკმენდილი აბარებს არქივს. ამას უთუოთ არც მისი დამაარსებელნი ელოდენ. 2 ნახევ. ინტერნაციონალი განმარტებას იძლევა იმის შესახებ, თუ რისთვისაა ის იძულებული შეუერთდეს აშკარა რეფორმისტებს. მას უნდოდა შეერთებოდა რეფორმისტებსაც, თუ უკანასკნელნი რეფორმიზმს უარსყოფდენ, და კომუნისტებსაც, თუ ესენიც კომუნიზმს ყოფდენ უარს, მაგრამ, ვინაიდან ულმობელმა კომუნისტებმა არა თუ კომუნიზმი უარყვეს, არამედ სიკვდილით სასჯელი მიუსაჯეს უწყინარ სოციალისტებს, რომლებიც ღებულობდენ ანტანტიდან ფულებს და მით აჩაღებდენ სამოქალაქო ომს მუშურ-გლეხური მთავრობის წინააღმდეგ, ამის შემდეგ 2 ნახ. ინტერ. გმირებს რაღა დარჩენოდათ, გარდა იმისა, თუ არ შეერთება რეფორმისტებთან რეფორმიზმის საფუძველზე? მაგრამ, როგორც ვიცით, ფრიდრიხ ადლერი და ჟანლონგე არავითარ მდგომარეობაში არ კარგავენ კეთილშობილებას, და ამიტომ ისინი მზად არიან კარები ღია იქონიონ კომინტერნისთვისაც, თუ კი უკანასკნელი მოისურვებს შეიდემანელებთან გაერთიანებას და რუსეთის ბურჟუაზიასთან კოალიციაში შესვლას.

აღნიშნავს რა ამნაირათ მე-2 და 2 ნახ. ინტერ. გაერთიანების ისტორიულ აუცილებლობას, ფრანკფურტის კონფერენცია აგვიწერს ცერემონიალს, რომელიც დაცულ უნდა იქნეს მის დაკრძალვაზე უნდა მოწვეულ იქნეს მუშათა კონგრესი, მან უნდა შექმნას მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი, რომელიც უნდა იქნეს ორივე ინტერნაციონალის გაერთიანების გარდამავალი სტადია საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლისა და მასთან კოალიციის დამთავრების ნიადაგზე.

ყველა ამ რეზოლიუციებს, რომლებშიც მასხრობა არეულია ერთგვარ ამერიკულ აფერისტობასთან, ყველა აძლევს ხმას, გარდა ერთისა. ეს უკანასკნელი რაინდი, რომელსაც ჯერ კიდევ ამაყათ უპყრია თვისი დროშა, პატივცემული ჩვენი მემარცხენე ესერი შრეიდერია, რომელიც უეჭველად დაარსებს ახალ ინტერნაციონალს ლედებურთან ერთად, რომელმაც პრესაში განაცხადა, რომ ისტორიულ ფრანკფურტის კონფერენციის დასასრულს რომ დავესწრებოდი, მე ყველა ამ რეზოლიუციების წინააღმდეგ მივცემდი ხმასო. მარტოვმა არჩია ხმა მიეცა რეზოლიუციებისთვის. იგი ასე მოიქცა იმ კეთილ ზრახვათა და გულმაგრობის გამო, რომელიც მას ახასიათებს. რარიგ არ ეთაკილებოდა, მარა მაინც აღიარა წმიდა წყალის სოც.-პატრიოტებთან და რეფორმისტებთან გაერთიანების აუცილებლობა. აგრე დასრულდა მისი მოგზაურობა ინტერნაციონალიზმის მძიმე გზაზე და რეფორმიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კომუნისტურ ინტერნაციონალს შეუძლია მიესალმოს ფრანკფურტის კონფერენციის შედეგებს. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ვენის ინტერნაციონალი არითმეტიკას ძირითად კანონებთან საოცარ წინააღმდეგობაშია, ვინადან მან დაამტკიცა, რომ 2 ნახ.=2. ის პირები, რომელმაც მხოლოდ პირველ-დაწყებითი არითმეტიკა იციან, ჩვენ არ გვეთანხმებოდენ. ახლა-კი ისინი დარწმუნდებიან ჩვენი ანგარიშის სისწორეში შემდეგი ახალი არითმეტიკური საოცრებით, სახელდობრ: 2+2 ნახ.=2. ეს კი მუშათა კლასისთვის დიდი სასარგებლოა, ვინაიდან ცოდნა არის ძალა. ასე ამბობდა ოდესღაც მოხუცი ლიბკნეხტი.

კ. რადეკი.

რადიო-დეპეშები

ახლო აღმოსავლეთის ამბები

შეთანხმების პირობები.

მოსკოვი. 27 სექტ. საფრანგეთის და ბრიტანეთის კაბინეტები იხილავენ შეთანხმების პირობებს, რომელნიც გამომუშავებულნი არიან მოკავშირეთა მიერ. პირობების თანახმად ოსმალეთს გადაეცემა სტამბოლი, აღმოსავლეთი ფრაკია, ადრიანოპოლი სრუტეების ინტერნაციონალიზაციის, სტამბოლში მოკავშირეთა ძალების დარჩენის და ნაციონალურ უმცირესობათა ინტერესების გარანტიების პირობით. თუ კი პროექტი მიღებული იქნა ორივე კაბინეტის მიერ, საზავო კონფერენცია მოწვეული იქნება 30 სექტემბერს.

პარიზის თათბირის გამო.

მოსკოვი. 27 სექტ. ინგლისის საზოგადოებრივი წრეები კმაყოფილნი არიან პარიზის თათბირის შედეგებით. კერზონმა განაცხადა, რომ თათბირის შედეგია ინგლისი, საფრანგეთი და იტალიის შორის სრულის თანხმობის დამყარება. სახელმწიფოები მზად არიან მიიღონ ოსმალეთი ერთა ლიგაში. მოკავშირენი ისარგებლებენ თავიანთ გავლენით, რათა ბერძნებმა თავისი ჯარები გაიყვანოს ოსმალეთის ტერიტორიიდან. ანგორის მთავრობა ვალდებულია დროებით არ გაგზავნოს ჯარები ნეიტრალურ ზონაში და არ დაიკავოს სრუტეები.

ნეიტრალური ზონა.

მოსკოვი. 27 სექტ. გუშინ ბრიტანეთის გენერალი შატელვორტი შეხვდა ოსმალეთის წარმომადგენელს, რათა დაარწმუნოს უკანასკნელი, რომ საჭიროა ნებაყოფლობით ოსმალეთის ჯარების გაყვანა ნეიტრალურ ზონიდან.

ცნობა ქემალის გადაწყვეტილებაზე ამ საკითხის შესახებ ჯერ არ არის მიღებული.

საფრანგეთი და ქემალი.

მოსკოვი. 27 სექტემბერი. საფრანგეთის მთავრობამ გაუგზავნა ქემალს რადიო თხოვნით, რათა თავი შეიკავოს გამოსვლებისაგან საფრანგეთის სპეციალური კომისრის ბუიონის მოსვლამდე.

— პუანკარესთან შეხვედრის შემდეგ ბუიონი გაემგზავრა ისმიდში ქემალთან შესახვედრად. ბუიონს განზრახვა აქვს წინადადება მისცეს ქემალს დასთანხმდეს უკანასკნელი სრუტეებზე ოსმალეთის სუვერენიტეტის განსაზღვრაზე და ადრიანოპოლის ოსმალეთისათვის დაბრუნებაზე. იმ შემთხვევაში თუ ოსმალეთი არ მიიღებს ამ წინადადებას, საფრანგეთი დადგება ინგლისის მხარეზე. პარიზში გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ, თუ როგორ პოზიციას დაადგება ამ საკითხში რუსეთი.

ოსმალეთი კონფერენციაზე.

მოსკოვი. 27 სექტემბერი. მოკავშირეებმა გაუგზავნეს ქემალს კონფერენციაზე მიწვევის წინადადება. მიწვევა გაეგზავნა ანგორისა და სტამბოლის მთავრობებს.

ამით სურთ კონფერენციაზე იმყოფებოდეს გაერთიანებული ოსმალეთის დელეგაცია.

ინგლისის მუშების განცხადება.

მოსკოვი. 27 სექტემბერი. ლონდონში გაიმართა მუშათა დეპუტაციის საუბარი ლოიდ ჯორჯთან. მუშათა წარმომადგენლებმა განუცხადეს პრემიერს, რომ ისინი მიზანშეუწონლად სთვლიან, რომ ინგლისის ჯარის კაცმა იბრძოლოს ოსმალეთის ან საბერძნეთისათვის.

არ მოეწონათ.

ნაუენი. 27 სექტემბერი. პარიზში დიდი მღელვარება ნეიტრალურ ზონაში ანგორის რაზმების ხელმეორედ გამოჩენის გამო, სადაც ამ რაზმმა დაიკავა ერენკეი. ინგლისის რაზმი ყველაფრისთვის მზად არის, თუ ანგორის ჯარები უკან გამოყვანილი განსაზღვრულ დროს განმავლობაში. ინგლისის მთავრობამ დღემდე არ გააუქმა ბრძანება, ახლო აღმოსავლეთში ახალი ძალების გაგზავნის შესახებ, სადაც ჯარები და გემები თანდათან მიდიან ინგლისიდან.

სტამბოლი და ანგორა.

ნაუენი. 27 სექტემბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, სტამბოლის დიდმა ვეზირმა აცნობა ქემალ ფაშას, რომ ოსმალეთის კაბინეტს განზრახული აქვს გადადგეს. ცნობების მიხედვით, სტამბოლის მთავრობა სცნობს ანგორის მთავრობას, როგორც ოსმალეთის მთავრობას, არა მარტო ფაქტიურად, არამედ აგრეთვე იურიდიულად.

ჰანოვერი. 27. სექტემბერი. სტამბოლის მთავრობამ აცნობა ანგორის მთავრობას, რომ ის მზად არის არ შეუშალოს ხელი თავის წევრების გადადგომას ანგორის მთავრობის სასარ-

საშიში მდგომარეობა

მალარია მუდამ იყო მტერი მთელი ამიერ კავკასიისა. იგი მუსრავდა და ანადგურებდა კერძოთ საქართველოს. მსხვერპლი მისგან მრავალი იყო.

მაგრამ მალარია არ ყოფილა ისეთი ძლიერი, საშინელი და სახიფათო როგორიც დღეს.

ორგანიზმი ადამიანისა ისეა დაუძლურებული, დასუსტებული, რომ მასთან ბრძოლა ვერ ძალუძს, წინააღმდეგობას ვერ უწევს. იმპერიალისტურმა ომმა და განადგურებულმა სახალხო მეურნეობამ, დაცემულმა მატერიალურმა კულტურამ და კეთილდღეობამ ხალხისამ ამ საქმეში თავისი შედეგი მოგვცა.

უსაშინელესი ქარიშხალივით რესპუბლიკას ერთი კუთხიდან გადმოვიდა მალარია მეორეში. ყოველ მხრიდან მოისმის ხმა, მოგვდის ცნობები, რომ მთელ მცხოვრებთ ედება ეს სენი. ხდება ავად დიდი და პატარა, ქალი და კაცი.

ავადმყოფობა მიმდინარეობს მძიმე ფორმებში (მაღალი ტემპერატურა, ხანგრძლივობა ავადმყოფობისა), არა ერთხელ იყო შემთხვევები სიკვდილისა.

საშინელებას წარმოადგენს არა მარტო თვით სნეულება. იგი, თუ დროზე არ არის მიღებული ზომები, ბოლოს ასუსტებს ადამიანის ორგანიზმს, აუძლურებს და უმზადებს ნიადაგს სხვა მძიმე სნეულებათა გაჩენას, უფრო ძლიერ კი ფილტვებისას (ტუბერკულიოზი).

დასუსტებული და დაუძლურებული ორგანიზმი ადამიანის ღრუბელისამებრ ისვამს, იზიდავს სხვა და სხვა ავადმყოფობას, სნეულებას.

აქედან მალარიის პირდაპირი შედეგია ზრდა ტუბერკულოზისა, იგი ხელს უწყობს ჭლექის გავრცელებას, მით დაავადებას და, მართლაც, ჩვენ ამაში ვრწმუნდებით. წელს აგარაკ ბახმაროში წასულ პროფ. ალადაშვილის და გოგიტიძის მოწმობით, თითქმის მთელი ჩვენი გლეხობა, საზაფხულოდ ბახმაროში ჩამოსული, ტუბერკულოზით დასნეულებულნი ყოფილან, ან ყოველ შემთხვევაში მის ნიშნებისათვის მომზადებული ყოფილა ნიადაგი.

ჩვენს განკარგულებაში მყოფი საბუთები გვაძლევენ უფლებას დავასკვნათ, დავასაბუთოთ, რომ ბევრ ჩვენს მაზრებში მალარიით ავადმყოფნი შეადგენს 86 პროცენტს მთელი მცხოვრებლებისას, იმ ადგილებში სადაც მოქმედებენ ექსპედიციები.

აქედან არ არის ძნელი წარმოვიდგინოთ, თუ რა ხიფათს, რა საშინელებას უმზადებს ხალხის ფიზიკურ ჯანმრთელობას და მის არსებობას დღევანდელი გავრცელებული მალარიის ეპიდემია.

არა ნაკლებია მისი უარყოფითი შედეგები ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში, რომელიც ძლიერ საჭიროებს წარმოების ძალთა განვითარებას.

თუ წარმოვიდგენთ, რომ თითეული მალარიკი საშუალოთ მთელი წლის განმავლობაში, ვთქვათ, ათ დღეს ავადმყოფობს, ძლიერ მცირე რომ ვიანგარიშოთ, ზარალი მოაქვს (თუ მხედველობაში მივიღებთ მამაკაცს, წლოვანებით 20—50 წლამდე და მის დღიურ ხელფასს 50.000 მან. ეს შეადგენს 195 650.000 000 მან.) თითქმის 200 მილიარდი მანეთს ე. ი. ოქროს ფულით რომ ვიანგარიშოთ წელიწადში 2 მილიონ მანეთს უდრის.

საუბედუროთ, რამდენადაც ძლიერია მალარია, იმდენათვე სუსტი ვართ მასთან ბრძოლაში.

ვინაიდგინ მალარიასთან ბრძოლა წარმოადგენს ფრიად დიდ მნიშვნელოვან საკითხს, ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ შარშან დაარსებული იყო ცენტრალური მალარიის სადგური შემდეგი განყოფილებებით: კლინიკური, ჰემატოლოგიური, ენტომოლოგიური, პროტისტოლოგიური და ქიმიური სადგურის მიზანია სამეცნიერო შესწავლა მალარიისა და საერთო ხელმძღვანელობა მალარიის საწინააღმდეგო კომპანიისა. ცუდ პირობებისა გამო, სადგურმა ვერ შესძლო საჭირო მასშტაბში გაეშალა თვისი მოქმედება. დაწყებული იყო მხოლოდ წინასწარი ორგანიზაციული მუშაობა და რიგი მეცნიერული გამოკვლევებისა, შარშანდელ დაგზავნილ სამ (3) ექსპედიციის გარდა რიგშია ექიმთათვის დაარსება სპეციალური კურსებისა მალარიის საწინააღმდეგოთ.

წელს შევძელით გაგზავნა 6 მალარიის ექსპედიციას იმ რაიონებში, სადაც უფრო მძვინვარებს ეპიდემია. (ყარაიაზის, თელავის, ალაზანის, რიონის, გურიის და ზუგდიდის რაიონებში).

ექსპედიციებმა გახსნეს და აამუშავეს ამბულატორიები. დაიწყეს მიღება ავადმყოფებისა, რომელთაც უსასყიდლოთ, უფასოთ ურიგებდნენ ქინაქინას.

მათ მრავალი ავადმყოფი მოაწყდა. პირველ ორი კვირის განმავლობაში, 5 ექსპედიციამ მიიღო 4500 დე ავადმყოფი. მაგრამ ეს ხომ წვეთია ზღვაში და მასთანავე ძირითადი დანიშნულება ექსპედიციისა, ხომ სამეცნიერო გამოკვლევაა და შესწავლაა მიზეზებისა, ფორმებისა და დაავადების პირობებისა და არა პირდაპირი მასთან ბრძოლა. ამას გარდა ექსპედიციებსაც არ შეუძლიათ დაიქადონ, რომ მათ დიდ ყურადღებას და დახმარებას უწევდენ ადგილობრივი ხელისუფლებანი (გადაზიდვის საქმეში, ბინების და სხვა).

ადგილობრივ ჯანმთელობის განყოფილებებს, რომელთაც თვით აქვთ დაკისრებული ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ, არ მოეპოვება ამ მიზნისათვის არავითარი საშუალება: არც ფული, არც რაიმე სხვა ქონება. ქინაქინი სრულიათ არა აქვთ, და თუ მოეპოვებათ ისიც მიკროსკოპიული დოზები. ამდღეებში რ. ს. ფ. ს. რ. ჯანმრთელობის კომისარიატისაგან ჩვენ მივიღეთ ქინაქინი 50 კილო უსასყიდლოთ და 50 ფასით. ქინაქინი დაგზავნილია პროვინციებში, რომ არ მივიღოთ მხედველობაში ის რაც ადრე იყო გაცემული. მაგრამ ესეც არ კმარა, ცოტაა.

საჭიროა გავაძლიეროთ ჯანმრთელობის განყოფილების ნივთიერი მდგომარეობა. უსახსრობით არაფერი კეთდება. საჩქაროთ დასამტკიცებელი ცენტრალურ აღმასკომისაგან შინაგან საქმეთა კომისარიატის მიერ შემუშავებული (ჯან. კომის. გან. კომთან ერთად შეთანხმებით) პროექტი გადასახადებისა, სახალხო ჯანმრთელობისა და განათლების საჭიროებისათვის, მოგვცემს საშუალებას მივიღოთ რიგი ზომებისა ეპიდემიის წინააღმდეგ და კერძოთ მალარიის წინააღმდეგ. (ქინინიზაცია იმ ადგილებში, სადაც უფრო ძლიერია ეპიდემია).

მაგრამ ადგილობრივი ჯანმრთელობის განყოფილებასაც შეუძლია და ვალდებულიც არიან სხვა დაწესებულებებთან ერთად, გაშალონ მალარიასთან საწინააღმდეგო კომპანია.

ჯერ ეს ერთი, ყოველ მაზრებში უნდა იქნეს დაწესებული მუდმივი მალარიასთან საბრძოლველი კომისიები, რომელშიც უნდა იღებდეს მონაწილეობას პროფკავშირო, ეკონომ განყოფილების, კომუნალურ მეურნეობის, პარტკომების, ახალ. კომ. კავშირის წევრების და სხვათა წარმომადგენლები, რომლებმაც უნდა გამოიმუშაონ საერთო გეგმა მის განსახორციელებლად და ცხოვრებაში გატარებისათვის.

მეორეთ, საჭირო ფართე მასშტაბში ფაბრიკებში, ქარხნებში, სოფლებში და თემებში პოპულიარული ლექციებისა და საუბრების გამართვა შემდეგ თემებზე: თუ როგორ უნდა დაიფაროს თავი მალარიისაგან, მისი ექიმობა, და სხვა. ლექციებისა და საუბრების გამართვა უნდა მიენდოს და დაეკისროს მაზრებში ყველა ექიმებს.

ყოველ მაზრებში და ადგილებში შემუშავებულ უნდა იქნეს, მედიკურის და ტეხნიკური ძალების მონაწილეობით, სამუშაო გეგმა რამოდენიმე წლით. ზომების მიღება არა ფართო მასშტაბისა (ჭაობების დაშრობა, არხების გაყვანა და შესწორება, გამშრობ მცენარეთა გაშენება, ტბებისა და შეგუბებულ წყლების მოსპობა და სხვა.), რომელიც საჩქაროთ უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი, მცხოვრებთა მასსის მიერ კეთილ ნებითი ან მათი დაბეგვრით (შრომისა და ტვირთ მზიდავ ხარკით, საზოგადოების დადგენილებით).

მუშაობის შედეგის კეთილ ნაყოფიერება დამოკიდებულია ენერგიისაგან, ადგილობრივ ძალთა ინიციატივით და დაუღალავი შრომით.

ერთხელ და სამუდამოთ უნდა ითქვას, რომ მალარიასთან ბრძოლა არის არა მარტო საქმე ჯანმრთელობის ორგანოებისა, არამედ ეკონომიურ დაწესებულებათა და მშრომელთა საქმეცაა.

გრ. კუჭაიძე.

ხუთშაბათს, 28 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში გაიმართება

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1) დედობისა და ბავშვობის დაცვის შესახებ, 2) კომისიის მოხსენება მუშათა სახლების შეკეთების შესახებ, 3) პროფკავშირთა ბოსტნების შესახებ, 4) მიმდინარე საქმეები. საკითხების მნიშვნელოვანების გამო პლენუმის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

(3—3) **საქ. პროფკავშირთა საბჭოს მდივანი.**

გბლოდ. ფიქრობენ, რომ ქემალ ფაშა ისარგებლებს ამით და გაგზავნის სტამბოლში თავის გუბერნატორს.

სტამბოლში აჯანყების შესაძლებლობა.

ნაუენი. 27 სექტემბერი. „დეილი ექსპრესსის“ ცნობებით, სტამბოლში აჯანყების შესაძლებლობა იზრდება. განზრახულია ომის შეწყვეტა მოახდინონ ადგილობრივ აჯანყების გზით. სტამბოლის მთავრობას აუცილებლად მიაჩნია გამოიყენოს თავის გავლენა ქემალ ფაშაზე იმისათვის, რათა მან უარჰყოს მოკავშირეების წინადადება.

კონფერენციაზე რუსეთის მონაწილეობის შესახებ.

ნაუენი. 27 სექტემბერი. ლონდონის „მორნინგ პოსტი“ ამბობს, რომ ძნელია უარჰყოფა საბჭოთა მთავრობის წინადადებისა ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციაზე, როცა იმისი წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდენ გენუაში და ჰააგაში და თუ გადაწყვეტილია სამხრეთ სლავიის კონფერენციაზე მიწვევა.

არ მოეწონათ.

ნაუენი. 27 სექტემბერი. სამხრეთ-სლავია ძლიერ აღელვებულია ანტანტის გადაწყვეტილებით, დაუბრუნონ ოსმალეთს ადრიანოპოლი და ფრაკია.

ანგორა და საფრანგეთი.

ჰანოვერი. 27 სექტ. „ჩიკაგო ტრიბუნ“-ი იუწყება, რომ ქემალ ფაშამ უარჰყო წინადადება, ფრაკიაზე საფრანგეთის პროტექტორატის შესახებ.

ვენიზელოსის მიწვევა.

ჰანოვერი. 27 ნექტ. „ჩიკაგო ტრიბუნ“-ი იტყობინება, რომ საბერძნეთის კაბინეტმა მიმართა ვენიზელოსს მთელი საბერძნეთის სახელით თხოვნით დაეხმაროს უკანასკნელს და შესწიროს თავი საფრთხეში მყოფ სამშობლოს სამსახურს.

საზავო მოლაპარაკების წინასწარი პირობები.

ანგორა. 26 სექტ. გაზეთი „ოგიუდ“ (ზომიერი) ორგანო დაბეჯითებით მოითხოვს, შემდეგ წინასწარ პირობებს საზავო მოლაპარაკებისათვის: 1) ოსმალეთის ჯარები თავისუფლად უნდა შევიდნენ სტამბოლში, 2) ანგორის მთავრობას უნდა მიეცეს გარანტიები, რომ მას აუცილებლად გადაეცემა ფრაკია, 3) ანგორის მთავრობა უნდა იქნეს იურიდიულად ცნობილი ახალი ოსმალეთის მთავრობად, რომელმაც დაამსხვრია ძველი ოტტომანიის იმპერია.

მეჯლისში.

ანგორა. 26 სექტ. გუშინ რიზა-ნური-ბეი ხელახლა არჩეულია ჯანმრთელობის კომისარად.

მოლოდინში.

კროიდონი. 26 სექტ. ჯერ კიდევ არ არის მიღებული ანგორის პასუხი მოკავშირეთა ნოტაზე. სტამბოლში სუფევს გაუბედაობა და გაიყო აზრი იმის შესახებ, მიიღებენ თუ არა ქემალისტები მოკავშირეთა წინადადებას.

არეულობა სოფიაში.

ჰანოვერი. 26 სექტემბერი. სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიების მომხრეთა შორის ქუჩაში გამართულ ბრძოლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ 15 კაცი მოკლულია და 100 დაჭრილი.

პარიზის თათბირის გამო

ბორდო. 27 სექტემბერს პარიზში მყოფი ინგლისის წრეები კმაყოფილნი არიან პარიზის კონფერენციის შედეგებით. ვენეციის კონფერენციის მოწვევის დრო დანიშნული იქნება მაშინვე, როგორც კი მიიღებენ ქემალ ფაშის პასუხს.

ცოლების ევაკუაცია.

ბორდო. 27 სექტ. ბრიტანეთის სამხეორო ძალების სარდალის მორიგტონის ცოლი და ყველა უმაღლეს საკომანდო პირთა ცოლები გაემგზავრენ კონსტანტინოპოლიდან. დანარჩენ აფიცრების ცოლები გავლენ ხვალ.

სამხედრო მოქმედებები.

მოსკოვი, 27 სექტ. ოსმალეთის კავალერიის ნაწილები, რომლებმაც გადალახეს ნეიტრალური ზონა, უკან დაბრუნდენ. არავითარ შეტაკებას ინგლისელებთან ადგილი არ ქონია.

საბერძნეთში

მოსკოვი, 27 სექტ. საბერძნეთის კაბინეთმა გამოაცხადა მთელს საბერძნეთში საალყო წესები და სამხედრო სამსახურში ჯარში გასაწვევი ოთხი წლის თაობა.

ნაუენი 27 სექტ. „ჩიკაგო ტრიბუნმა“ მიიღო ცნობა, რომ საბერძნეთის კაბინეთმა გადასწყვიტა სთხოვოს ვენიზელოსს ათენაში დაბრუნება, დაივიწყოს წარსული და იმუშაოს ერთად საბერძნეთის აღდგენისათვის იმ დაბრკოლებათა გარდა, რომელიც გამოწვეულია ფრაკიის დაკარგვით. მდგომარეობა საბერძნეთში ითვლება გამოურკვევლად, დიდი სახელმწიფოების პოზიციის გამო, რომელმაც გამოიწვია ათინაში სულიერი დაცემა. ამის გარდა ასი ათასობით საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა ბერძნებმა გაადიდეს უმუშევართა რიცხვი.

კონფერენციის გამო.

ჰანოვერი. 27 სექტემბერს. ინგლისის წრეებში ფიქრობენ, რომ მსოფლიო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხის გამო მოწვეულ იქნება 15 ოქტომბრისათვის. ლოიდ-ჯორჯი მასში მონაწილეობას არ მიიღებს.

მდგომარეობა კვლავ იწვევს საშიშროებას.

ჰანოვერი, 27 სექტემბ. ანგორის მთავრობისადმი მოკავშირეების ნოტაზე ჯერჯერობით პასუხი არ არის მიღებული. პარიზში ფიქრობენ, რომ ქემალ-ფაშა ეროვნულ კრების პასუხს უცდის. მდგომარეობა ისევ საშიშარი რჩება, საბერძნეთის ჯარების ფრაკიაში დატოვების და ინგლისის დამხმარე ძალების მოსვლის გამო. ნეიტრალური ზონიდან იტყობინებიან ახალ ინციდენტის შესახებ: გუშინ უკან დახეული ოსმალეთის კავალერია დღეს ისევ შეტევაზე გადავიდა, მიიღო რა მნიშვნელოვანი დახმარება. ინგლისელები არ სტოვებენ ჩანაკს და ემზადებიან ყოველგვარ მოულოდნელობისათვის. გენერალ გარიგტონმა დაუნიშნა ოსმალებს ვადა, რომლის გათავების შემდეგ ინგლისელები ქემალ-ფაშას აკისრებენ პასუხისმგებლობას ყოველგვარ მოსალოდნელ შედეგებისა. ოსმალეთის სირდლობამ წინადადებით მიმართა ამ ვადის 48 საათით განგრძობის შესახებ.

ფრაკიაში.

რომი. 27 სექტ. ბერძნებმა გაგზავნეს ფრაკიაში სამხედრო დახმარება.

საბერძნეთი უკმაყოფილოა.

ჰანოვერი. 27 სექტ. ლონდონიდან მიღებულ ცნობებით საბერძნეთში იზრდება უკმაყოფილება პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილებით. ბერძნები ფიქრობენ კიდევ ერთხელ წინააღმდეგობა გაუწიონ ქემალ ფაშას ევროპის ტერიტორიაზე და არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებიან ფრაკიის და ადრიანოპოლის ოსმალეთისათვის გადაცემაზე. ბერძნები ფიქრობენ კიდევ 50,000 კაცის შეწირვას თუ ოსმალეთი მოკავშირეებთან შეთანხმებით ან ამის წინააღმდეგ ბოსფორს გადალახავს.

სამხრეთ სლავიაც უკმაყოფილოა.

ჰანოვერი. 27 სექტ. ბელგრადის პრესა გამოსთქვამს დიდ უკმაყოფილობას იმის გამო, რომ მოკავშირეებს განძრახული აქვთ ფრაკიის და ადრიანოპოლი ოსმალეთისათვის დაბრუნება.

ამერიკა და საბერძნეთ ოსმალეთის ომი.

ბორდო. 27 სექტ. შეერთებულმა შტატებმა გაგზავნა ოსმალეთისაკენ ორი კრეისერი ხუთი გამანადგურებელით.

ბორდო. 27 სექტ. ამერიკის საზოგადოებრივი აზრი კმაყოფილებით შეხვდა მოკავშირეების ნოტას ქემალისადმი, რომლითაც ფრაკია მარიცამდე გადაეცემა ოსმალეთს. ნიუიორკის „ტაიმსი“ და „ტრიბუნა“ აღნიშნავს, რომ თუ ქემალისტები ეხლაც არ დაკმაყოფილდებიან, მაშინ მართლადაც მათი მოთხოვნილება ჩაითვლება გადაჭარბებულად.

ოსმალეთის ცხენოსანი ჯარის წინსვლა.

კროიდონი. 27 სექტ. სტამბოლში ფიქრობენ, რომ ოსმალეთის რაზმის წინსვლა ნეიტრალურ ზონაში მოხდა ჯერ კიდევ ქემალის მიერ მოკავშირეების კოლექტიური ნოტის მიღებამდე.

ინტერვიუ ამხ. ჩიჩერინთან

მოსკოვი. 27 სექტემბერი. ევროპაში გამგზავრების წინ ამხ. ჩიჩერინმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ ყველაფერი, რასაც რუსეთი გააკეთებს ახლო-აღმოსავლეთის საკითხში იქნება თათრებთან სრული შეთანხმებით. შემდეგ ჩიჩერინმა განაცხადა: „ამჟამად ჩვენ საქმე გვაქვს ყველა აზიის ხალხთა ნაციონალურ მოძრაობასთან, რომელნიც მიიხწვიან სრულ დამოუკიდებლობისაკენ. მუსლიმანური მოძრაობაიგივე ნაციონალური მოძრაობაა. ყველა მუსლიმანური ერები დახმარებას უწევენ ერთი მეორეს და ამავე დროს არ აქვთ დასახული მიზანი ისლამის გაერთიანებისა.

ამხ. რადეკის წერილიდან

მოსკოვი. 27 სექტემბერი. ამხ. რადეკი გაზ. „პრავდა“-ს მოწინავეში სწერს: ახლო აღმოსავლეთის ამბები ღებულობს გაჭიანურებულ მძიმე კრიზისის ხასიათს, ვინაიდან საფრანგეთი გადაჭრით არ გამოვა ინგლისის წინააღმდეგ. მეორეს მხრივ ინგლისის სრულიად განსაკუთრებული პრეტენზიები აუტანელ მდგომარეობას ქმნიან მთელ რიგ ერებისათვის. საბჭოთა რუსეთი ვერ დაუშვებს რომ საკითხი მის გარეშე გადაწყდეს. ის დაიცავს თავის ინტერესებს“.

„იზვესტიის“ წერილიდან.

მოსკოვი. 27 სექტ. „იზვესტია“ მოწინავეში სწერს: დაჟინებითი მისწრაფება ანტანტის, უპირველესად ყოვლისა ინგლისის, იმუშაონ რუსეთის მონაწილეობის გარეშე გამოიწვევს ახალ გართულებებს. ისე როგორც ეკონომიური მდგომარეობა და ევროპის აღდგენა შეუძლებელია რუსეთის და გერმანიის გარეშე, არავითარი ძირითადი პოლიტიკური საკითხი (გამოტოვებულია)... კარზანის ნოტაში საბჭოთა რუსეთი აშკარად ხაზს უსვამს თავის გადაწყვეტილებას, რომ ის არ დარჩება გულ ხელ დაკრეფილი რუსეთისათვის ასე მნიშვნელოვან და სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტის დროს, როგორიცაა საკითხები ახლო აღმოსავლეთისა და დარდანელის შესახებ.

ახლო აღმოსავლეთში.

ათინაში.

ბორდო, 27 სექტ ვინაიდან მთავრობამ უარი განაცხადა ვენიზელოსის მოღვაწეობაზე—ეკონომიის მინისტრი მანეასი და კიდევ ორი მინისტრი გადადგენ. საბერძნეთის წარმომადგენლად სამშვიდობო კონფერენციაზე იქნება ტრიანტოფილაკოსი.

ოსმალეთის პასუხი.

ბორდო, 27 სექტ. „პტი პარიზენის“ ცნობით ოსმალეთის პასუხის შინაარსი დღეს ღამით ეცნობა პარიზს და ლონდონს.

საკონტრიბუციო კომისიაში.

ბორდო. 27 სექტ. პარიზის გაზეთები ფიქრობენ, რომ საკონტრიბუციო კომისია განიხილავს ინგლისის და გერმანიის ბანკების პოლიტიკურ და ფინანსიურ შეთანხმების მატერიალურ მნიშვნელობას, თუმცაღა ამაზე ოფიციალური ლაპარაკი ჯერ კიდევ არ ყოფილა. „ჟურნალ“-ის ცნობით, საკონტრიბუციო კომისიის აზრი ისეთია, რომ ბანკები არ წარმოადგენენ ავტონომიურ და კერძო დაწესებულებებს და ამიტომ მათ არ შეეძლო გერმანიის რესურსებზე განკარგულების გაწევა, რის გამო საკონტრიბუციო კომისიას არ მიაჩნია საყურადღებოდ ხელშეკრულების დეტალები.

გავენშტეინის მისიის შესახებ.

ბორდო. 27 სექტ. „პტი ჟურნალის“ ცნობებით, ბრიუსელში საზოგადოებრივი აზრი აღელვებულია გავენშტეინის ლონდონში გამგზავრების შედეგების შესახებ დაწვრილებით ცნობების უქონლობის გამო. აქ შიშობენ, რომ გავენშტეინმა არ მიაღწიოს შეკვეცილ მორატორიუმს გერმანიისათვის.

საბერძნეთში

საბერძნეთის კაბინეთი და ვენიზელოსი.

ბორდო. 27 სექტ. ათინის კაბინეთის უკანასკნელი სხდომები ძალიან მშფოთარე ხასიათს ატარებდა. ბოლოს და ბოლოს მინისტრებმა გადასწყვიტეს სთხოვონ ვენიზელოსს მისი ახლო მეგობრის შარილას საშუალებით, მიიღოს საბერძნეთის წარმომადგენლობა ახლო აღმოსავლეთის საკითხზე დიპლომატიურ მოლაპარაკების საწარმოებლად. ძალიან საეჭვოა, რომ ვენიზელოსი მიიღებს ამ წინადადებას.

ინგლისის კაბინეთში.

ბორდო. 27 სექტ. ინგლისის კაბინეთის სხდომაზე ლოიდ ჯორჯი ჩხურ

სასურსათო გადასახ[illegible]

სულ რამდენია აკრეფილი?

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ბით სექტემბრის 26 მდე აღმოსავლეთ საქართველოში შეკრებულია ბლეულის ერთეულით სულ 300.178 ფუთი, ანუ 51 3 პროცენტი.

კამპანიის მსვლელობა

ტფილისის მაზრა. სექტემბრის 23-მდე შეკრებულია ხორბლეულ თეულით 35.200 ფუთი.

სამხრეთ ოსეთში. კამპანიის დაწყების დღიდან სექტემბრის შეგროვილია: ხორბალი—13.908 ფუთი, კართოფილი—16 ფ., ლობ ფ. და ქერი—2.131 ფუთი.

სულ ხორბლეულის ერთეულით შეგროვილია 15.339 ფუთი.

ვალეთ მიესალმა კერზონს და მიულოცა გამარჯვება. ინგლისის წრეებში პარიზის გადაწყვეტილებას სასურველად სთვლიან. გავრცელდა აზრი, ქემალ ფაშას რომ პასუხი დამაკმაყოფილებელი იქნება.

პრესის გამოძახილი

ანგორა. 28 სექტემბერი. სირიის და ეგვიპტის გაზეთები მხურვალე წერილებს უძღვნიან ოსმალეთს. კაიროს გაზეთი „გლიხრაში“ სწერს, რომ ოსმალეთის გამარჯვება უზრუნველყოფს არა მის თავისუფლებას, არამედ გარანტიაა მთელი აღმოსავლეთის თავისუფლების.

გაზეთი „ელმუკედასი“ სწერს, რომ ოსმალეთის გამარჯვება ბერძნებზე ნიშნავს მის გამარჯვებას ბრიტანეთზე. პოლიტიკურმა გრიგალმა აღმოსავლეთში მოსპო სევრის ხელშეკრულება. მუსტაფა ქემალმა დაამსხვრია ევროპის პოლიტიკა და ბოლო მოუღო აღმოსავლეთის ჩაგვრას ევროპის მიერ.

„იენი გიუნი“ მოკავშირეთა შესახებ.

ანგორა. 26 სექტემბერი. ან ნოტის გამო გაზეთი „იენი წინააღმდეგია ანტანტის პ მიღების. გაზეთი ხედავს ნოტა გლისის კაბინეტის ცდას დრო ოსმალეთის მოსატყუებლა ზეთი სწერს, რომ ოსმალეთის წინ მიიწევს აღთქმის ქალაქ და არ არსებობს ძალა, რო წინ აღუდგება არმიას. ოსმა არმია ადვილად განდევნის ბერ ფრაკიიდან, მოკავშირენი კი ლობენ სრუტეების თავისუ ჩვენთვის მიუღებელ ფორმაში. მოკავშირეთაგანი, რომელმაც ტაზე ხელი მოაწერა სტამ ბერძნების და სომხების მობი ციას ახდენს. მოკავშირეთ სტამბოლი იმისათვის, რომ მძიმე პირობები გვიკარნახონ მოკავშირეებმა უნდა უარყონ გამოთქმული შეხედულებანი, ნააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ რძნობთ ჩვენ გზას.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ელექტრონით განათება ტვერში

მოსკოვი. 27 სექტემბერი. ქუჩები ტვერში პირველად 4 წლის შემდეგ განათებულია ელექტრონით. ახლო მომავალში გაანათებენ მუშათა რაიონების ბინებს, ხოლო შემდეგ ქალაქის დანარჩენ ნაწილებს.

ცოცხალი ინვენტარი

მოსკოვი, 27 სექტემბერი. სამარის გუბერნიაში თანდათან აღადგენენ ცოცხალ ინვენტარს. ცენტრმა მიიღო ცხენების ჯოგისთვის 24 მილიონი მანეთი.

ერიო ნიჟეგოროდის ბაზრობაზე

მოსკოვი. 27 სექტემბერი. ნიჟეგოროდის ბაზრობაზე მოვიდა საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატი ერიო. ჟურნალისტებთან საუბრის დროს ერიომ განაცხადა: „მე სავსებით მოხიბლული ვარ რუსეთით. ის მე მაგონებს მინდორს ნორჩი მდელვარე ჯეჯილით. ჩემი მისია არ ატარებს პოლიტიკურ ხასიათს. საფრანგეთის მცხოვრებთა ჯგუფი, მათ შორის მეც, დაინტერესებულია საბჭოთა რუსეთთან დაახლოვებით, მოგზაურობის მიზანია ეკონ გაცნობა საბჭოთა რუსეთთან. რობასთან გაცნობის შემდეგ დი სიამოვნებით ფართოდ ქვეყნებ რუსეთის ვაჭრობის წველობის მდგომარეობას „ ხელისუფლების დროს“.

ერიომ გამოსთქვა სურვილი, ნიჟეგოროდის ბაზრობის დღ გაემგზავროს 1923 წ. მარტში ნის ბაზრობაზე.

რუსეთ იაპონიის უ ერთობის შეწყვე

რუსეთ იაპონიის კონფერენ

მოსკოვი. 27 სექტ. რად ჩუნში იაპონიის დელეგაციამ განაცხადა შეუდგეს განხილვ თხების (გამოტოვებულია).... კნელი განაგრძობს ოკუპაციას. თის დელეგაციას არ შეეძ თანხმებულიყო სახალინის ოკ განგრძობაზე. ყველა ამან გა ის, რომ რუსეთის დელეგაცი თავმჯდომარეობით დაბრუნ კინში.

ყინული დაიძრა

(სარეპარაციო პრობლემა და შენიშნული საერთაშორისო გადახრა).

„არსებობს სიცრუის სამი სახე: ჩვეულებრივი ტყუილით, ფიცი და სტატისტიკა“. ეს მოსწრებული ფრაზა ეკუთვნის დიდ ადამიანს, ცნობილ ლორდს ბიკონსფილდ დიზრაელს.

ახლანდელ დროში კი სტატისტიკას საპატიო ადგილი უკავია. საფრანგეთი აგზავნის ამერიკაში დელეგაციას პერმანტიეს მეთაურობით გარკვეულ მიზნით: სტატისტიკურ ცნობით უნდა დაამტკიცოს, რომ საფრანგეთს არ შეუძლია ამერიკას გადაუხადოს ვალის პროცენტები. ლონდონის კონფერენცია, განსაკუთრებით კი პუანკარესი და ვირტის სიტყვები, მიმართული პრესის წარმომადგენლების მიმართ და მათი საშუალებით მთელ მსოფლიოსადმი, აგებულია სტატისტიკურ ცნობებზე და მასალებზე, და გარეგნულ შეხედვით წარმოადგენენ ციფრების ნამდვილ ომს. თუ კი პუანკარეს მოუსმენთ—გერმანიის მთავრობა შეგნებულად, განზრახ მარკის კურს აიაფებს, იწვევს მის დაცემას, ექომაგება მას, რომ რეპარაციის თვით შესაძლებლობა ილიუზორული გახადოს. ამის მტკიცების დროს, პუანკარე იარაღად ხმარობს ციფრებს, გულდნობა გერმანიის მიერ ქაღალდის ფულების გამოშვებას, გერმანელების საბანკო ოპერაციებს უცხოეთში, გერმანიის კაპიტალების უცხოეთში დაბანდებას. თუ ყურს დაუგდებთ ვირტს, ისიც იმავე იარაღით—ციფრების და სტატისტიკის საშუალებით გვარწმუნებს სრულებით წინააღმდეგში: მარკის კურსის დაცემაში დაინტერესებული ყოფილა თვით საფრანგეთი, რადგანაც ახლა სარეპარაციო ნახშირს იგი ანგარიშობს ტონას 5 მარკა ოქროთ, მაშინ, როდესაც ორი წლის წინეთ, ტონა ნახშირის ფასი იყო 20—25 მარკა ოქროთი. გერმანიის ფაქტიურ გაკოტრებაში, ამ რიგად, საფრანგეთი ძალიან დაინტერესებული ყოფილა. პუანკარე დიამეტრალურად საწინააღმდეგოს ამტკიცებს, ვირტი კი პასუხს აძლევს, რომ გერმანიის მხრივ დიდი უგუნურობა და სახელმწიფოებრივი თვითმკვლელობა იქნებოდა, რომ იგი ცდილობდეს საკუთარ თავის გაკოტრებას. ვირტი იმოწმებს ციფრებს, რომელიც აშკარად გვეუბნება, რომ გერმანიის ყოველთვიური გადასახადი უდრის 23—24 მილიარდ ქაღალდის მარკას, მისი თვიური შემოსავალი კი აღწევს 20 მილიარდამდე. აქედან გამომდინარეობს ის, რომ გერმანიას არ ძალუძს ვალების გადახდა. მაგრამ, პუანკარეს თავისი ციფრები აქვს; იგი ამტკიცებს, რომ საფრანგეთის სავაჭრო ბალანსის დეფიციტი 1919 1920 და 1921 წლ. 28 მილიარდი ფრანკით მეტი იყო, ვიდრე გერმანიის სავაჭრო ბალანსის დეფიციტი; მაშასადამე გერმანიის საქმეები არც ისე ცუდად ქონია, მართალია, ეს, ვითომდა სტატისტიკური არგუმენტი, არის არგუმენტი, ასე ვსთქვათ, ad lominem „ობივატელური“. სხვათაშორის, ამ სტატისტიკაში ნაანგარიშევია შემოტანილ—საქონლებში (სავაჭრო ბალანსის პასივში) ის გადასახადები, რომელსაც იხდის გერმანია ნატურით, თუმცა ფაქტიურათ საფრანგეთი არავითარ სასყიდელს არ იძლევა. ეს, რასაკვირველია, ბუჰგალტერიის ოინებია. ვეთანხმები,—ლაპარაკობდა პუანკარე ლონდონში, რომ გერმანია ბანკროტობის წინაშე დგას და ყელში ხელის წაჭერა არ შეიძლება, მაგრამ არც საფრანგეთია უკეთეს მდგომარეობაში და მას არ შეუძლია ცხოვრება ურეპარაციოდ. როგორც ვხედავთ, პუანკარეს მსჯელობა არის „წყალი კომუნიზმის წისქვილისათვის“, და ამტკიცებს კაპიტალიზმის სრულ სიკოტრეს. ასე თუ ისე, პუანკარე ციფრებს დიდ წინააღმდეგობას უწევს გერმანიის კაპიტალისტური პრესა, რომელსაც თავისი „ციფრები“ აქვს. საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა არ დარჩა დავალიანებული თავის მხრივ. კალმების მთელი ტყე რეინის ორივე ნაპირზე აწარმოებს ბრძოლას ყოველთვის ციფრების ახალ ფალანგებით, აგრძელებს სტატისტიკურ ბრძოლას, რომელიც პუანკარეს და ვირტის შეტაკებით იქნა დაწყებული. ციფრებით ბრძოლა სწარმოებს არა მარტო მოყვანილ მაგალითებში, არამედ კერძო საკითხებშიც, როგორც არის, მაგალითად, რურის ოლქის ჩართვა საფრანგეთის საბაჟო რაიონში, საფრანგეთის მოთხოვნილება—გადაეცეს მას გერმანიის მრეწველობის აქციების ნაწილი. აქაც ციფრებით და სტატისტიკით ხელმძღვანელობენ ორივე მხარენი. ერთის მხრივ, გერმანელები და ინგლისელები ამტკიცებენ, რომ საფრანგეთზე გადაცემა სამრეწველო ოლქების ნაწილის სავალიუტო ქაოს უფრო გააძლიერებს გერმანიაში, ვინაიდან გერმანიის მთავრობამ უნდა აანაზღაუროს მრეწველები, რისთვისაც მას ახალი ქაღალდის ფულების გამოშვება დაჭირდება; მეორეს მხრივ, სამთომადნო მრეწველობის აქციების ღირებულებამ პუანკარეს წინადადების შემდეგ უეცრად აიწია. უნდა გვეფიქრა, რომ მოსალოდნელ ექსპროპრიაციის პერსპექტივის გამო ამ აქციების კურსი საგრძნობლად დაეცემოდა; მაგრამ, მარკის კურსის კატასტროფიულ მდგომარეობის და საერთო პესიმიზმის დროს გერმანიის სამრეწველო აქციების ღირებულებამ აიწია. ნაწილობრივ ეს აიხსნება იმით, რომ საფრანგეთის კაპიტალისტებმა დაიწყეს მათი შესყიდვა. მაგრამ, ამ მოვლენის მიზეზი უფრო ღრმა გახლავთ. რამდენიმე კვირის წინეთ, სტინნესმა რეინ ვესტფალიის მრეწველთა ყრილობაზე განაცხადა, რომ რურის ოლქის ფრანგების მიერ დაკავების შედეგების არ უნდა გვეშინოდესო. ასეთი განცხადებით ყირამალა ატრიალებენ ყოველ გვარ სტატისტიკურ მტკიცებას. რა შუაშია სტატისტიკა, თუ კი თვით გერმანიის მრეწველები და ფაბრიკანტები დაინტერესებულნი არიან იმაში, რომ საფრანგეთის „მაღალი ხელის“ მფარველობის ქვეშ მოექცნენ ეს უკვე სრული Klaaderdatch“ ია, სიკოტრეა, „საერთო დამქავებაა“.

მაგრამ, თავი დავანებოთ ვირტის და პუანკარეს სტატისტიკურ „დუელს“, რომელიც მოგვაგონებს ბერის და რაბინის შორის დისპუტს ჰეინეს ცნობილ ლექსში. როგორც დემოკრატიაში და პარლამენტში ბურჟუაზიას და პროლეტარიატს არ ძალუძს გამოძებნონ საერთო და, არ ძალუძთ დააჯერონ ან გადააჯერონ ერთმანეთი, ვინაიდან ყოველ კლასს აქვს არა მარტო თავისი კლასიური ინტერესები, არამედ თავისი იდეოლოგია, თავის შეგნება, თავისებური ლოღიკა, ენა,—ისე უძლურია ციფრები და სტატისტიკა სახელმწიფოების შეტაკებებში.

რა არის მათთვის „გეკუბა,“ ციფრები და საბუთები. „თაგვს ვერ დაიჭერ სილოგიზმში, თაგვი გადაახტება ყოველგვარ სოფიზმს“.

დაუბრუნდეთ ფაქტებს. გერმანიას კვლავ გაუგრძელეს ვადა ახალ წლამდე, მხოლოდ პუანკარეს პატივის ცემით ამ შეღავათს არ უწოდეს მორატორიუმი. ეს არის შედეგი მეცამეტე სარეპარაციო კონფერენციისა. მარკის კურსი ცოტათი აიწია და, შესაძლებელია, საერთო შიმშილობის აჩრდილი არ დადგეს გერმანიის წინაშე, თუმცა, ჯერჯერობით, შიმშილობის ნიადაგზე უწესოებათა გარდა რურის ოლქის მაღაროების მუშები ვალდებულნი არიან გასწიონ ზედმეტი მუშაობა; პროფკავშირების ლიდერები დასთანხმდენ შრომის მინისტრის ამ მოთხოვნილებაზე, და ალბად, მალე დადგება რიგი სხვა დარგში მომუშავე მუშებისა. ახლა, საფრანგეთის და გერმანიის მრეწველთა შეთანხმების შემდეგ აშკარავდება სარეპარაციო პრობლემის სოციალური მხარე: გადასახადების მთელი სიმძიმე აწვება მუშათა კლასს. სპაში მომხდარ შეთანხმების შემდეგ, რეალური პოლიტიკოსმა სტინესმა განაცხადა, რომ მთავარი საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ გერმანიის მაღაროების მუშა მოინდომებს თუ არა გასწიოს საკმაო ინტენსიობით ზედმეტი მუშაობა. გერმანიის მთავრობამ მიმართა მაშინ მაღაროების მუშებს მანიფესტით, რომელშიც მოუწოდებდა იმათ უარი არ ეთქვათ ზედმეტი მუშაობაზე და სანაცვლოდ ნახშირის მრეწველობის ნაციონალიზაციას პირდებოდა, (რასაკვირველია დაპირება არ იქნა შესრულებული). ანტანტასთან დროებით ზავის ჩამოგდების შემდეგ, მთელი გერმანია ავსებული იყო პლაკატებით: მხოლოდ შრომაშია ჩვენი ხსნა.“ მხოლოდ ზოგიერთს გაეგებოდა ამ ტრაფარეტად ქცეულ ფრაზის იდუმალი აზრი. შემდეგ, როდესაც გერმანიის მთავრობას სურდა მოეხდინა გავლენა ანტანტაზე გერმანიაში სოციალურ რევოლუციის აჩრდილით, და გარეშე საქმეთა მინისტრი რეიხსტაგში ლაპარაკობდა იმ საკატორღო შრომაზე, რომლისთვის ვერსალის ხელშეკრულებით განწირულია გერმანიის პროლეტარიატი,—მაშინ „ბერლინერ ტაგბლატი“ აშკარად ანგარიშობდა, რომ სარეპარაციო გადასახადების გასასტუმრებლად საჭირო იქნება თორმეტი საათი სამუშაო დღის დაწესებაო. ორგეში თავის მხრივ მოითხოვდა, რომ კვლავ შემოღებული ყოფილიყო ლიუდენდორფის შრომის ბეგარა, როგორც ომის დროს. იგივე ორგეში მხარს უჭერდა გერმანიის და საფრანგეთის ბურჟუაზიის შეთანხმებას გერმანიის პროლეტარიატის დასაწურად. ამ ჟამად რეპარაციის ეს საფუძველი შედის თავის ძალაში. საგარეო პოლიტიკური ინერცია დაძლეულია, გუშინდელი „საუკუნოებრივი მტრები“ გერმანია და საფრანგეთი დღეს შეთანხმებაზე ლაპარაკობენ ინგლისის წინააღმდეგ. ასე თუ ისე, გამოხატული იქნება კონკრეტ ფორმებში ეს შეთანხმება თუ არა, თუ იგი დარჩება ჯერჯერობით მოლაპარაკების სტატიაში, ფაქტი ისაა, რომ ეს შეთანხმება ხდება გერმანიის პროლეტარიატის ხარჯზე. „ეს იქნება საფრანგეთის და გერმანიის მრეწველობის გრანდიოზული ტრესტი“ ო, სწერს „როტე ფანე“. ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფაქტათ მთელ თანამედროვე სისტემაში ჩაითვლება საფრანგეთის და გერმანიის კომუნისტურ პარტიების ცენტრ. კომიტეტების კელნში მომხდარი კონფერენცია. კონფერენციამ დაადგინა გამოყოს სპეციალური მუდმივი კომისია, რომელიც საფრანგეთის და გერმანიის ბურჟუაზიის მომავალ ბლოკს დაუპირდაპირებს ორივე ქვეყნის პროლეტარიატის ბლოკს. დაახლოება საგარეო პოლიტიკაში, თუ კი მას ადგილი ექნა, უსათუოდ დამყარებულ იქნება კლასიურ ბრძოლის გამწვავებაზე საშინაო პოლიტიკაში. აი, სად არის სტატისტიკურ ოინების საიდუმლოებანი, აი, სადამდე უნდა მიგვიყვანოს კაპიტალიზმის ორი დონკიხოტის ციფრებით ბრძოლამ.

თუ კი მთა ვერ მიეგებება მაჰმადს, მაჰმადი მიეგებება მთას. გერმანიის სამთამადნო მრეწველებმა დაიწყეს მსოფლიო ომი, რომ თავიანთი სამფლობელო ადგილებისათვის მიემატათ ბრიესი და ლონგვიის მადნები. ჩაეშალათ, ახლა მაჰმადი იძულებულია მივიდეს მთასთან,—გერმანელები მზად არიან შეუერთონ რურის ნახშირი ელზას ლოტარინგიისას,—ახლა საფრანგეთის მფარველობის ქვეშ. სტინესს ამისი არ ეშინიან. მან იცის რომ ყორანი ყორანს თვალებს არ დასთხრის. (აღვნიშნოთ აგრეთვე ის, რომ სტინესის მთავარი მამულები სადავო ადგილებთან მდებარეობენ, რაც ოდნავად ხსნის სტინესის პოზიციას ამ საკითხისადმი). თვით წარმოების ტეხნიკა მოითხოვს ამ გაერთიანებას. ელზასის მადანი წარმოება რურის ნახშირის გარეშე—აბსურდი იქნებოდა. ასეთივე აბსურდია ის გარემოება, რომ გერმანია თავის ნახშირს უგზავნის ანტანტას, თვითონ კი თავისი წარმოებათა საჭიროებისათვის ყიდულობს მას ინგლისიდან. ასეთ აბსურდს შედეგად მოაქვს არა ნაყოფიერი ორნაირი სატრანსპორტო ხარჯი. ამ ჟამად, მიუხედავად ელზას-ლოტარინგიის დაბრუნებისა, რკინის წარმოება საფრანგეთში ნაკლებია, ვიდრე ომამდე. საფრანგეთის ხელში მოქცეულია ევროპის რკინის მადნეულობის მესამედი, მაგრამ აწარმოებს მხოლოდ 5 ნახევარ მილიონ ტონს, ე. ი. თითქმის ნახევარზე ნაკლებ იმისა, რის წარმოებაც შესაძლებელია. გერმანიის მრეწველობასთან და ტეხნიკასთან გაერთიანების დროს, საფრანგეთი შეიქნება უძლიერესი ფაქტორი ევროპაში. მისი სამხედრო ავტორიტეტი ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე ნაპოლეონის დროს; თუ კი იგი უზრუნველყოფს ეკონომიურ რეს, მაშინ მისი ჰეგემონია ევ იქნება უდავო ფაქტი. საფრ და ინგლისის იმპერიალიზმის ტოქეობახი უნდა ვეძიოთ გ სარეპარაციო პრობლემის საე რისო მნიშვნელობის გაგებ ამ მეტოქეობით აიხსნება ის მარეობა, რომ ინგლისი ეს და მხარს უჭერს გერმანიას. ნელებმა, თავის მხრივ მტკი წონ დასწონეს ყველა შანს დაინახეს, რომ მათთვის უფ საყრელია კავშირი საფრა მრეწველობასთან, ვიდრე მა შარი მეტოქე ინგლისის მრ ბასთან. თეოდორე ვოლფი, „ბერლინერ ტაგებლატში“ თქვამს მწუხარებას, რომ საფ მა ვერ ისარგებლა დროებ ჩამოგდების შემდეგ გერმანი ლი განწყობილებით ინგლი და ვერ იყო საკმაო შორს რომ მაშინ გაეწია მეგობრუ გერმანიისათვის.

უცხოეთის პრესსა ამ თვა სით იხილავს ქალ. ლიონის და საფრანგეთის რადიკალებ დერის ჰერიოს მომავალ გა ბას რუსეთში. ამ გამგზავრე რებენ იმ მაგალითთან, როდ ფრანგეთმა „კვანტი ამოკრა და სეპარატიული ხელშ ფრანკლინ — ბუიონს სა დადვა ანგორასთან. სარე პრობლემის ტილოზე იქარგ მად კარდინალური გადახრა შორისო პოლიტიკაში; საფ შორდება ინგლის და ემუქ სეთთან და გერმანიასთან შეკვრით. რასაკვირველია, გამგზავრება—ეს ერთნაირი იგი ჯერ კიდე არ ნიშნავს ბურჟუაზიული საფრანგეთი ნად და აშკარად უწვდის ხე ლეტარულ რესპუბლიკას. მა ქმე ამაში არ არის. ერთის რეპარაციის ნიადაგზე ადგ ინგლისის და საფრანგეთის ზულ შეჯიბრების; წარმოებ ინგლისის და საფრანგეთის ლიზმის შორის ბატონობისათ რეს მხრივ, გენუის და ჰაგი

საქართველოს დამშეულთა დამხმარე

მთავარ კომიტეტში

დახმარება წყალდიდობისაგან, სეტყვისაგან და ცეცხლისაგან დაზარალებულ მაზრებს.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტში მოსული ცნობით რესპუბლიკის ზოგიერთ მაზრებში წყალდიდობისაგან, სეტყვისაგან და ცეცხლისაგან განადგურებულია მოსავალი, დაღუპულია მრავალი პირუტყვი და წალეკილია მოსახლეობა, არის ადამიანთა მსხვერპლიც (გურიაში).

ამიტომ საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარმა კომიტეტმა სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენათ გასცა ეხლავე დაზარალებულ მაზრებზე დახმარების სახით, ზარალის და მიხედვით, შემდეგი:

1. ოზურგეთის მაზრას		—	300.000.000 მანეთი, 500 ფუთი ხორბალი და 512 არშინი ნარმა.
2. სენაკის	„	—	100.000.000 მანეთი.
3. შორაპნის	„	—	100.000.000 „
4. თიანეთის	„	—	75.000.000 „
5. ლეჩხუმის	„	—	145.000.000 „
6. თელავის	„	—	50.000.000 „
7. ახალქალაქის	„	—	100.000.000 „
8. ახალციხის	„	—	100.000.000 „
9. რაჭის	„	—	100.000 000 „
10. სამხრეთ-ოსეთის	„	—	100.000.000 „
		სულ	1.170.000.000 მანეთი.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი.

რუსეთი და რუმინია

ამხ. კარახანის ნოტა რუმინიას

მოსკოვი. 27 სექტ. გარეშე საქმეთა სახ. კომისარის მოადგილე კარახანმა გაუგზავნა რუმინიას ნოტა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მოსკოვის კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად რუმინიის მოწვევის პასუხად, რუმინიის მისიამ ბერლინში გადმოგვცა რუმინიის მთავრობის ოფიციალური პასუხი, რომელიც იწვევს დიდ გაუგებრობას. რუმინია მზად არის მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაზე იმ პირობით, თუ რუსეთი იცნობს მასზე ბესარაბიას. ასეთი გაუგონარი მოთხოვნილება ააშკარავებს, რომ რუმინიას არ სურს გამოძებნოს გზა ზავის რეალურად უზრუნველყოფისათვის, ვინაიდან ძნელად დასაშვებია ვინმემ სერიოზულად იფიქროს, რომ რუსეთი განიარაღების საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღებისათვის დასთმობს რუსეთის ტერიტორიის ვეებერთელა სივრცეს.

განიარაღების საკითხში ერთნაირად დაინტერესებული არიან რუსეთი და ის სახელმწიფოები, რომელთაც გაეგზავნათ კონფერენციაზე მოწვევის ბარათები. სპეციალური კომპენსაციის მოთხოვნა განიარაღების საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღებისათვის შეიძლება გავიგოთ, როგორც ზავის გამაგრებაში მონაწილეობის მიღების უნდობლობა.

რაც შეეხება რუმინიის მთავრობის განცხადებას, რომ ის მზადაა რუსეთს და რუმინიას შორის სხვადასხვა საკითხების მოწესრიგებისათვის, რუსეთი მზადაა შეუდგეს ასეთ მოლაპარაკებას დაუყონებლივ; მაგრამ რუსეთი ვერ დათანხმდება, რომ კონფერენციაზე განსახილველი ძირითადი საკითხები, გადაწყვეტილ იქნეს რუმინიის სასარგებლოდ კონფერენციის გარეშე ამგვარივე პრეტენზიების გამო, რუსეთ რუმინიის მოლაპარაკება ვარშავაში უშედეგოდ დამთავრდა.

რუსეთი აცხადებს თავის თანხმობას გაგზავნოს კონფერენციაზე დელეგატები რუმინიასთან ნორმალური დამოკიდებულების დასამყარებლად და ურჩევს რუმინიის მთავრობას დასთანხმდეს კონფერენციაზე.

განიარაღების კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა აიძულებს რუსეთის მთავრობას იფიქროს, რომ რუმინია არის რუსეთის ერთად ერთი მეზობელი, რომელსაც არ სურს რუსეთთან მშვიდობიანი განწყობილების დამყარება და რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს სრული თავისუფლება შეიარაღებისათვის.

რუსეთის მთავრობა აცხადებს, რომ ის ჩასთვლის რუმინიის მთავრობას პასუხისმგებლად იმ დაბრკოლებისა, რომელიც მას წინ გადაეღობება განიარაღების საკითხის სასურველად გადაწყვეტაში.

ანტანტა და გერმანია

გერმანიის გადასახადები.

ნაუენი. 27 სექტემბერი. გერმანიის ვალების გადახდის ინგლის საფრანგეთის ბიუროს დირექტორი 5 ოქტომბერს ჩამოვა ბერლინში გადასახადების შესახებ მოლაპარაკებისათვის.

სამხრეთ სლავია და გერმანია.

ნაუენი. 27 სექტემბერი. სამხრეთ სლავიამ უარი განაცხადა კონტრიბუციის სახით გერმანიიდან ძროხების მიღებაზე, ვინაიდან რკინის გზის ტარიფი კონტრიბუციის ამგვარ ანაზღაურებას შეუსრულებლად ხდის. სამხრეთ სლავია მზად არის ძროხების სამაგიეროდ მიიღოს სოფლის სამეურნეო იარაღები.

ზემო სილეზიის პოლონეთის ნაწილში.

ნაუენი. 27 სექტ. პოლონეთისათვის გადაცემულ ზემო სილეზიაში პოლონეთის სეიმში არჩევნები აძლევს ხმების 2|3 გერმანელებს კატოვიტაში, კენიგსგიუზში და ლაუხიურგში.

ბელგია და გერმანია.

ბორდო, 27 სექტ. გარმანიის ხაზინის 6 თვის ვადიანი ბონები, რომელიც შეტანილ უნდა ყოფილიყო ბელგიის ხაზინაში 15 აგვისტოს და 15 სექტემბერს, გადაეცა საკონტრიბუციო კომისიას, რომელიც სამშაბათს საღამოს შეიკრიბება დიუბუას თავმჯდომარეობით. ბელგიის დელეგაცია გადასცემს ბონებს ბელგიის მთავრობას.

ბორდო 27 სექტემბერი. საკონტრიბუციო კომისიამ მიიღო ცნობა გერმანიის და ბელგიის შეთანხმების და სახელმწიფო ბანკის მიერ მიცემულ გარანტიების შესახებ, სახაზინო ბონების მხრით. კომისიამ გადასწყვიტა 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე ხაზინის ბონები გამოხატოს ნომინალურ თანხებში.

ჰანოვერი. 27 სექტემბერი. ჰავასის ცნობით, საკონტრიბუციო კომისია დღევანდელ სხდომაზე, რომელიც შესდგება დიუბუს თავმჯდომარეობით, მოისმენს მოხსენებას გერმანიის განძეულობის ბელგიისათვის გადაცემის შესახებ. „ფოსიშე ცაიტუნგი“ ამბობს, რომ პარიზის წრეებს არ სჯერათ, რომ რომელიმე მხარემ გაილაშქროს ერთიან გადაწყვეტილების წინააღმდეგ, „ინდეპენდანს ბელჟ“-ი აღიარებს ბრიუსელის სრულ კმაყოფილებას იმის გამო, რომ საერთაშორისო სესხის გალების ვადის გადადებით შესაძლებელი გახდა საშიშ და რთულ მდგომარეობიდან გამოსვლა. გაზეთი თუმცაღა კვლავ ფიქრობს, რომ ამით კიდევ არ შეცვლილა გერმანიის მდგომარეობა და უკანასკნელს მოუხდება წასდგეს ბევრ სხვა საშიშროებათა წინაშე, თუ ბრიუსელის კონფერენცია არ გამოიწვევს გაერთიანებას საერთაშორისო სესხის საკითხში.

აშკარა იყო, რომ საფრანგეთი დაადგებოდა რუსეთთან სეპარატიულ მოლაპარაკების გზას. შესაძლებელია ის გააფრთხებული დაცვა საფრანგეთის კაპიტალისტების ჯგუფისა გენუის კონფერენციაზე, საფრანგეთისთვის ნაკარნახევი იყო არა იმდენად „ორი მსოფლმხედველობათა“ წინააღმდეგობით, რამდენადაც ინგლისის მიმართ ინტერესია ანტაგონიზმით. ამ ჟამად ეს ანტაგონიზმი დიალექტურად მიაქანებს საფრანგეთს რუსეთთან მოლაპარაკების დაწყებისაკენ.

ჰერიოს მოგზაურობის ძირი იმარხება აგრეთვე საფრანგეთის ეკონომიკაში. თავის დროზე (იხ. წერილი „კაპიტალიზმი უკაპიტალოთ“ და „კაპიტალის უსწორო ხაზები“ „იზვესტიაში“) დასმული იყო საკითხი, მოეპოება თუ არა ევროპას საკმაო კაპიტალი, რომ დაგვეხმაროს ჩვენ კრედიტით. რამდენადაც შესაძლებელია ამ საკითხის განხილვა ჩვენს განკარგულებაში არსებულ სტატისტიკურ ცნობების მიხედვით, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ევროპას არა მხოლოდ არ უნდა, არამედ არ შეუძლია კაპიტალებით დაგვეხმაროს ჩვენ. ასეთი მიმართულებით გააკეთა მოხსენება ამხ. სოკოლოვსკიმ სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციაზე. ჩვენ აქ გვინდოდა მიგვეთითებია ახალ მოსაზრებებზე ამ საკითხის გასაშუქებლად. პროფ. ბარგს თავის მიმოხილვაში „ეკონომიკა და ეკონომიური ცხოვრება“ მოყავს საინტერესო ციტატები საფრანგეთის შესახებ შრომიდან, რომელიც იყო მოთავსებული შეერთებულ შტატების საკავშირო ბანკის ჟურნალში „ფედერალ-რეზერვ-ბიულეტენ“. ამ შრომაში ავტორი ამტკიცებს იმას, რომ საფრანგეთში ომის შემდეგ უფრო ინტენსიურად ხდებოდა კაპიტალის დაგროვება, ვიდრე ომამდე. ავტორი ანგარიშობს საფრანგეთის ბაზარზე მოქცეულს სახელმწიფო და კომუნალურ სესხის ბილეთები, ხაზინის ბილეთების, კერძო წარმოებათა აქციების საერთო ჯამს და მოყავს შემდეგი ციფრები (მილიარდ-ფრანკებში).

1919 წ. — — 27
1920 წ. — — 47
1921 წ. — — 39

სულ ომის შემდეგ 113

„ერთა ლიგის სტატისტიკით, ლაპარაკობს დასახელებულ ნაშრომის ავტორი—წლიური შემოსავალ საფრანგეთში სულზე არის 3.200 ფრანკი. თუ კი საფრანგეთის მოსახლეობას ვიანგარიშებთ 40 მილიონად, მაშინ ყოველ ფრანგს საშუალოდ შეუნახავს და ფასიან ქაღალდებში მოუქცევია იმდენი, რამდენიც მის წლიურ შემოსავალს უდრის“. ამრიგად როგორც სჩანს საფრანგეთში კაპიტალების ნაკლებობას ადგილი არა აქვს მაშინაც კი, თუ მივიღებთ მხედველობაში ფრანკის კურსის დაცემის და ამერიკის სტატისტიკოსის ტენდენციობას. მაგრამ ამხ ვარგა აღნიშნავს, ამაშიც მოსჩანს ის დამახასიათებელი წინააღმდეგობა საფრანგეთის ეკონომიკის, რომელსაც ადგილი ქონდა ომიანობამდე: კაპიტალების მრავალი დაგროვება ფულის სახით, რომელსაც თან არა სდევს რეალურ სიმდიდრის გამრავლება. სხვანაირად, საფრანგეთი მდიდარია ფულით, და იმდენად არაა მდიდარი პროდუქტებით. ეს დიდი მნიშვნელობის შესწორებაა სტატისტიკის „უსულო“ ციფრების

რათ არ შეუძლია საფრანგეთს თავისი ფულები პროდუქტებათ აქციოს—ეს სხვა საკითხია, რომელიც მოითხოვს სპეციალურ განხილვას. ყოველ შემთხვევაში ამერიკულ ავტორის მიერ მოყვანილი ციფრები ძირიანად ეწინააღმდეგებიან გაღატაკებულ საფრანგეთის დღევანდელ მდგომარეობას. ჩვენ უნდა ვაზროვნობდეთ დიალექტიურად, და არა ფორმულით: ან კი, ან არა; წინააღმდეგობამ არ უნდა შეგვაშინოს, იგი თვით ცხოვრებაშია. ალბათ, ამ წინააღმდეგობაზეა აშენებული იოზეფ კაიოს ოპტიმიზმი მის წერილში საფრანგეთის ფინანსების შესახებ (პროფ. კეინის „ევროპის აღდგენ“-ის მეხუთე გამოცემაში), რომელშიც მოყავს საფრანგეთის დეფიციტის დამაფიქრებელი ციფრები, განსაკუთრებით მომავალი წლის დეფიციტის, რომელიც მისი აზრით აღემატებოდეს იქნება 20 მილიარდ ფრანკს, და მაინც ფიქრობს მისი დაფარვას, თუ კი კაპიტალებზე იქნა სათანადო გადასახადები დაწესებული და წარმოებული ჯანსაღი ეკონომიური, პოლიტიკა. ციფრების წინააღმდეგობა აშკარავდება იმაშიც, რომ ღარიბია საფრანგეთის სახელმწიფო, და არა მისი კაპიტალისტები (ამასაც ამტკიცებენ გერმანიის შესახებ) აქ ჩვენს წინაშე არის სტატისტიკა არა დიზმაელის რეცეპტით, რომლის სურვილისამებრ კლასიურ და ნაციონალურ სიმპატიების მიხედვით შეიძლება გამოყენება. წინააღმდეგობას აქვს აქ ობიექტიური ახსნა.

თუ კი საფრანგეთი ძველებურად მდიდარია კაპიტალებით, და არ ძალუძს ნაყოფიერად გამოიყენოს იგი თავის ქვეყანაში, აქიდან დასკვნას აკეთებს თვით ცხოვრება: როგორც მრეწველობაში და განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიაში საფრანგეთს სჭირია გერმანიის მრეწველობის თანამშრომლობა, ისე გვერდს ვერ აუხვევს საფრანგეთი კაპიტალების გამოსაყენებლად მდიდარს და ფართე რუსეთს. ამ მოსაზრებით ჰერიოს გამგზავრება რუსეთში,—ეს პირველი დაშინებული მერცხალი რამდენიმე წლის ბლოკადის და ინტერვენციის შემდეგ არ არის შემთხვევითი ხასიათის ფაქტი, და არის არა მარტო „შპილკა“ ინგლისის მიმართ, არამედ არის საგანგებო მნიშვნელობის სიმპტომი პოლიტიკის კარდინალური გადახრისა. ყინული დაიძრა და ტყდება. გაზაფხული მოდის.

ფ. კაპელიუში.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

„როტე ფანე“-ს აღკრძალვის გამო.

მოსკოვი. 27 სექტ. ბერლინის უზენაესმა ტრიბუნალმა სცნო „როტე ფანეს“ აღკრძალვა უკანონოდ. ეს დადგენილება გამოტანილია აღკრძალვის ვადის გასვლის შემდეგ.

გერმანიის ფაბრიკა ქარხნების ყრილობა.

მოსკოვი. 27 სექტ. გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობის გამო ატეხილი ბრძოლა მწვავე ხასიათს ღებულობს. ფეიქართა კავშირის პრეზიდიუმი აფრთხილებს პროფკავშირის წევრებს, რომ ყველა, ვინც მონაწილეობას მიიღებს ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების ყრილობის მზადებაში გამორიცხულ იქნება კავშირიდან.

ვაჭრობა გერმანიაში.

ბერლინი. 1922 წლის პირველი სემესტრის განმავლობაში გერმანიაში იმპორტი ავიდა 142 მილიარდ მარკამდე, ხოლო ექსპორტი 130 მილიარდამდე. საიმპორტო საქონელიდან აღსანიშნავია: თამბაქო,—2 ნახევ. მილიარდის, ყავა—1 ნახევ. მილიარდის, ხილები—1 მილიარდ. და 200 მილიონი მარკის.

ბრიუსელის კონფერენციის მოწვევის გამო.

ბორდო, 25 სექტ. „ეტუალ ბელჟის“ ცნობით ბრიუსელის კონფერენცია განიხილავს საკითხს საკავშირთაშორისო ვალებისდა გერმანიის კონტრიბუციის შესახებ. კონფერენცია შესდგება მიმდინარე წლის დამლევამდე.

პოლონეთი

პოზნანში.

ვარშავა. „რეჩ პოსპოლიტა“ იუწყება, რომ გვალვა და შემდეგ შეუწყვეტელი წვიმები იყო მიზეზი იმისა, რომ მოსავალი იყო საშუალოზე ნაკლები, ხოლო სასოფლო-მეურნეობის მუშების გაფიცვამ შეუძლებელი გახადა თვით ამ მოსავალის აკრეფაც. ზარალი დიდია. ეს ემუქრება სახელმწიფოს ეკონომიურ ფინანსიურ მდგომარეობის დანგრევით.

კომუნისტების დევნა.

ვარშავა. საოლქო სასამართლომ ვარშავაში განიხილა რა გენრიხ როზენკრანცის და სერგეი ვორონიჩოვის საქმე, რომელთაც ბრალი ედებოდათ კომუნისტური პარტიის მომხრეობაში, მიუსაჯა როზენკრანცს სამი წლის ციხე, მძიმე სავალდებულო სამუშაოს მინიჭებით. ვორონიჩოვი, ბრალდების დაუსაბუთებლობის გამო, გაანთავისუფლეს.

მიწის მუშების გაფიცვა

პოზნანი. სოფლის მუშათა კავშირის გამგეობამ გამოსცა შემდეგი პროკლამაცია: მოლაპარაკებამ მიწის მუშებთან ვერ მოიტანა საჭირო შედეგები. უშედეგოდ ჩატარდა აგრეთვე კონფერენცია შრომის მთავარ ინსპექტორის თავმჯდომარეობით და ასევე შრომის და სოციალურ უზრუნველყოფის მინისტრის დაროვსკისა. ამის გამო და სოფლის მუშების კავშირის წევრთა დადგენილებით, ჩვენ ვაცხადებთ მიწადმოქმედთა გაფიცვას გაფიცვას უნდა შეუერთდნენ ყველა სოფლის მუშები, მიუხედავად კავშირის წევრობისაო. ყველა გაფიცულებმა უნდა დაიცვან სამაგალითო წესრიგი და სიმშვიდე.

ამხანაგებო! გამოიჩინეთ შეგნებული დამოკიდებულება ჩვენ სამართლიან მოთხოვნილებისადმი. დაიცავით დისციპლინა, სოლიდარობა და სრული წესრიგი.

საფრანგეთი

8 საათის სამუშაო დღე საფრანგეთში.

მოსკოვი. 27 სექტემბერი. 8 საათის სამუშაო დღისთვის ბრძოლა საფრანგეთში მწვავე ხასიათს ღებულობს მარსელში გაფიცვა დამთავრდა მწარმოებელთა დამარცხებით, რომლებმაც ხელი მოაწერეს შეთანხმების 8 საათის სამუშაო დღის ძალაში დატოვების შესახებ. საფრანგეთის რკინის გზელები ემზადებიან 8 საათის სამუშაო დღისათვის საბრძოლველად.

ბელგიის რკინის გზელებმა განაცხადეს, რომ ამ საკითხში ისინი მხარს დაუჭერენ საფრანგეთის რკინის გზელებს.

ნაუენი. 26 სექტემბერი. პარიზში გაიმართა მეზღვაურთა და რკინის გზელთა საპროტესტო მიტინგი 8 საათის სამუშაო დღის გაუქმების წინააღმდეგ.

ერთა ლიგაში

ავსტრიის საკითხი ერთა ლიგაში

ბორდო. 27 სექტემბერი. ჟენევაში, ერთა ლიგის მეხუთე კომისია, რომელიც იხილავს ავსტრიის საკითხს შეიკრიბა ორშაბათს კანცლერ სეიპელის თანდასწრებით. კომისიამ გადასწყვიტა დაინიშნოს შემდეგი სხდომა ხუთშაბათს პოლიტიკურ გარანტიების და ავსტრიის სუვერენიტეტის დაცვის საკითხის საბოლოვოდ გადასაწყვეტად. რაც შეეხება ავსტრიისათვის სესხის მიცემას. ავსტრია თანახმაა იმ დადგენილებისა, რომელიც დამყარებულია შემდეგ საფუძვლებზე: საფრანგეთი, ინგლისი, იტალია და ჩეხო სლოვაკია აძლევენ საერთო ჯამის 20 პროც ის გარანტიას,—ერთა ლიგის დანარჩენი სახელმწიფოები მისცემენ დანარჩენ 20 პროც-ის გარანტიას.

ბოლგარიაში

ნაუენი. 26 სექტ. **ბოლგარიის მთავრობამ შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომლის თანახმად ყველა მინისტრების, რომლებიც შედიოდენ კაბინეთში 1913 დან 18 წლამდე, ბრალი ედებათ სამხედრო ბოროტმოქმედებაში და დაექვემდებარებიან ოსტრაკიზმს.**

ახლო აღმოსავლეთის საკითხი

ერთა ლიგის შუამდგომლობა

ბორდო. 26 სექტ. ერთა ლიგის პოლიტიკურმა კომისიამ ერთხმად მიიღო ჟენევაში დადგენილება, რომელიც ხაზს უსვამს კრების დაკმაყოფილებას ახლო აღმოსავლეთის კონფერენციის შესახებ ცნობებით. დადგენილება ნდობას უცხადებს ერთა ლიგის საბჭოს, რომელსაც წინადადება ეძლევა დაუყონებლივ შეუდგეს მოლაპარაკებას და მიიღოს ის ზომები, რომლებსაც საბჭო დროულად და მდგომარეობის შესაფერად სცნობს ზავის საჩქაროდ აღსადგენად.

ინგლისის სარდლობის მოთხოვნილებანი

ბორდო. 27 სექტ. გენერალ გარინგტონმა გადასცა ანგორის წარმომადგენელს კონსტანტინოპოლში მოთხოვნილება დააბრუნონ ოსმალეთის კავალერია, რომელმაც კვლავ გადალახა ნეიტრალური ზონა. ამ მოთხოვნილების სისრულეში მოსაყვანად ქემალ ფაშას მიეცემა საჭირო ვადა.

ოსმალეთის რაბინი ქემალ-ფაშის შესახებ.

ლიონი. 27 სექტემბერი, პარიზში „მატენის“ თანამშრომელთან საუბრის დროს ყოფილმა ოსმალეთის დიდმა რაბინმა ნახუმ-ეფენდიმ განაცხადა: „ჩვენი მიზანია, რომ ოსმალეთის ყველა ელემენტებმა, მიაღწიოს მშვიდობიანობას ჩვენი ქვეყნის საზღვრებში. დარწმუნებული იყავით, რომ ეს არის სურვილი მთელი ოსმალეთისა და ასეთი დიდი პოლიტიკოსი, როგორიცაა ქემალ-ფაშა არ დაუშვებს ჩვენი უფლებების შელახვას. დასასრულ ნახუმ-ეფენდიმ განაცხადა: „ჩვენ მოწამენი ვართ ოსმალური სულის გამოღვიძებისა“.

მუშათა ცხოვრება

ადელხანოვის ქარხანა

ამ ქარხნის მუშებს ძალიან გვაწუხებს ის გარემოება, რომ ჩვენს ბავშვებს სკოლებში, საბავშვო სახლებში, ბაღებში დიდი გაჭირვებით ღებულობენ, ზოგჯერ მიღებაზე უარსაც გვეუბნებიან. ამას წინათ გვეწვია შრომის ინსპექტორი ამხ. ნ. მახარაძე და მას შევჩივლეთ ჩვენი ეს გაჭირვება. ამხ. მახარაძეს დიდი შრომა და დიდი ენერგიული ღონისძიებათა მიღება დასჭირდა ზოგიერთ მუშათა ბავშვების სკოლაში მისაღებათ. სასურველია ამ ანორმალურ მდგომარეობას ერთხელაც არის ბოლო მოეღებოდეს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში. მუშის ბავშვები სკოლის გარეშე არ უნდა დარჩეს. ამისათვის არც არავის შეწუხება არ უნდა გვჭირდეს.

მ—ლი.

რას მივაწეროთ?

ხოშტარიასეული ლითონის ქარხანა, რომელიც ამ ჟამად სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონის განყოფილების ხელშია, ვერ არის ტეხნიკურ-სანიტარულათ სათანადოთ მოწყობილი, რის გამო მუშებს მუშაობა ერთობ მძიმე პირობებში გვიხდება. რამდენჯერმე იყო ჩვენს ქარხანაში შრომის ინსპექტორი, რამდენჯერმე ჩამოსწერა ქარხნის დეფექტები და წინადადება მისცა მის გასასწორებლად. ქარხნის მართველობა სრულებით არ აქცევს შრომის ინსპექტორის შენიშვნებს ყურადღებას. არ ვიცით რას მივაწეროთ ასეთი უყურადღებობა შრომის კანონების დაცვაში. ყოველ შემთხვევაში ადგილკომს მართებს ამ მხრივ ენერგიულ ღონისძიებათა მიღება.

აქაური.

რა დავაშავეთ?

ამას წინათ ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა, როგორც ეს გაზეთებში იყო გამოცხადებული, დაადგინა დააჯილდოვოს ტფ. ელექ. სადგურის მუშები მუყაით მუშაობისათვის 200 ათას მან. 10 მილიონამდი. გვეგონა ეს განცხადება გვეხებოდა ჩვენ და ამ იმედით გავეშურეთ ქალაქის აღმასკომისაკენ, იქ იმედი გაგვიცრუეს და ცივად გვიპასუხეს: არავითარი საჩუქრები და ჯილდო არააო. აღმოჩნდა, რომ ასეთს აძლევენ მხოლოდ ინჟენრებს. არ ვუარყოფთ, რომ ინჟენერი ღირსია დასაჩუქრების, მაგრამ ჩვენ რაღა დავაშავეთ? განა ჩვენ ცოტა შრომა და ცოტა ენერგია გვაქვს დახარჯული ამ დარგის წარმოების აღორძინებაზე. სამართლიანობა მოითხოვს მეტი ანგარიში გაგვიწიონ და მეტი ყურადღება მოგვაქციონ.

ერთი მათგანი.

ს. მუკუზანი

1922 წელს 20 აგვისტოს შესდგა მუკუზნის სახალხო მამულის მუშამოსამსახურეთა საერთო კრება, კრება კანონიერად იქნა ცნობილი ვინაიდგან ესწრება წევრთა აბსოლიუტური უმრავლესობა, თავმჯდომარეობს ჩეკურიშვილი, მდივნობს თარხანოვი. მოხსენებას აკეთებს პ. კ. მდივანი სალარიეშვილი წითელ პროფ-ინტერნისა და კომ-ინტერნის შესახებ. მოხსენების გამო მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლიუცია. შემდეგ მოხსენებას აკეთებს იგივე მომხსენებელი საურთიერთო დამხმარე კასაზედ, რის შემდეგ მუკუზნის მუშამოსამსახურენი უდგებიან არჩევნებს საურთიერთო დამხმარე კასის გამგეობისას და სარევიზიო კომისიისა. გამგეობაში იქნენ არჩეულნი: მაცქიშვილი გიორგი, ბულიაშვილი შაქრო, ჯანაშვილი მიხა. კანდიდატებათ: სირბილაშვილი ფირუზ და სირტლაძე რამან. სარევიზიო კომისიაში: ბაკურაძე გრიგორი, ბულიაშვილი ვანო, ლაზარიაშვილი გიო, ბოლოს მოხსენებას აკეთებს ადგილკომის თავმჯდომარე საქ. მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის კონფერენციის შესახებ, მოხსენება იქნა მიღებული ცნობად.

მუშა ქიტაშვილი.

ქრონიკა

◆ **სტიქიური უბედურება გურიაში.** ოზურგეთიდან დეპეშით ატყობინებენ დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს, რომ სტიქიური მოვლენა კვლავ თავისას განაგრძობს, ერკეთის რაიონში სოფ. ქვაბღა, დაწყებული მჟავე წყლიდან ვიდრე სოფ. ჩხაკორამდე, იქცევა, იშვავდება გორაკები, ჰყვება სოფლები, ხალხი ფხიზლათ არის მიუხედავათ საშიშროებისა. მდინარე გუბაზოული იგუბება. მიღებულია ზომები.

◆ **არსენალის მიდამოებში.** 27—30 ენკენისთვეს ყოველ დღე დილის 7 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე იქნება გამოცდითი სროლა ტყვიისმფრქვევლებიდან.

◆ **„განათლების მუშაკთა სახლი“** პარასკევს 29 სექტემბერს საღამოს 7 საათზე „განათლების მუშაკთა სახლი“ს ბინაზე (კოლოუბანის ქუჩა № 3) შესდგება პედაგოგიურ სექციის პირველი საერთო სხდომა.

მოსმენილ იქნება მოხსენებანი: 1. ამხ. მიშკევიჩის: შრომის სკოლის მიღწევანი და მომავალი მუშაობის გზები, 2. პედაგოგიურ სექციის დრ. გამგეობის: განათლების მუშაკთა სახლის და მომავალში მუშაობის გეგმის შესახებ, დასასრულ ჩაწერა ქვე-სექციაში.

◆ **შეწყდა მიღება.** მუშათა ფაკულტეტის რუსულ განყოფილებაში, იმის გამო რომ ბევრია მსმენელები. ეროვნების მიხედვით ფაკულტეტზე მიღებულებს შორის სჭარბობენ რუსები და სომხები.

◆ **მუშა ძალის მოძრაობა.** 22 სექტემბერს ტყიბულის შრომის ბირჟაზე ჩაეწერა 763 უმუშევარი. აქედან 363 მამაკაცია და 400 ქალი. ხელახლა გატარდა რეგისტრაციაში 124 კაცი, აქედან 73 მამაკ. და 31 ქალი, მუშა ძალის მოთხოვნილება იყო 72 აქედან მამაკაცზე 54, ქალზე 18, გაიგზავნა სამუშაოზე 64 კაცი, აქედან 46 მამ. და 18 ქალი.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში.

◆ **სასურსათო გადასახადის რაოდენობის შემცირება.** სასურსათო სახ. კომისარიატთან არსებულ საუწყებათაშორისო სასურსათო გადასახადის თათბირის დადგენილების თანახმად, სახალხო კომისართა საბჭომ დააკმაყოფილა ახალციხის მაზრის სასურსათო გადასახადის ამკრეფ სამეულის შუამდგომლობა მთელ მაზრაში სასურსათო გადასახადის 5,000 ფუთით შემცირების შესახებ, ამასთანავე სოფ. დადეშის მცხოვრებნი, რომელნიც ყველაზედ მეტად დაზარალდენ სეტყვისაგან სრულებით, განთავისუფლდენ 1922 წ. სასურსათო გადასახადისაგან და ეპატიებათ აგრეთვე 1921 წლის ნარჩენი. გარდა ამისა შემცირებულია სასურსათო გადასახადი ახალქალაქის მაზრაში 4 000 ფ.

◆ **კომუნალურ გადასახადების ამკრებ კომისიების მოქმედების შეთანხმება.** სახალხო კომისართა საბჭოს № 8 დადგენილების 8 მუხლის თანახმად შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატთან დამტკიცებულია ცენტრალური თათბირი იმ საჩივრების განსახილველად, რომელიც ეხება ადგილობრივ გადასახადების დეკრეტების და ინსტრუქციების დარღვევას და კომუნალურ გადასახადების ამკრეფ კომისიების მოქმედების შესათანხმებლად; თათბირში შედიან: შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატიდან ნანეიშვილი, ფინანსთა სახ. კომისარიატიდან—ხახანაშვილი და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატიდა—ლოპატინსკი.

◆ **პახარის ოჯახისათვის დახმარების აღმოჩენა.** მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის შუამდგომლობის გამო, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მიეცეს ბორჯომის მამულის ტყის ყოფ. ქურუსის პახარის ოჯახს, რომელმაც დაუტოვა რესპუბლიკას ძვირფასი სატყეო მუზეუმი და ბიბლიოთეკა ერთდროული დახმარების სახით 100.000.000 მანეთი.

◆ **პასუხისმგებელ მუშაკთა ხარისხში გადაყვანა.** იუსტიციის სახ. კომისარიატის მოხსენების თანახმად სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გადაყვანილ იქნან 1 სექტემბრიდან სატარიფო განაკვეთის შემდეგ კატეგორიაში შემდეგი პასუხისმგებელი მუშაკები: იუსტიციის სახ. კომისარიატის საქმეთა მმართველი, იუსტიციის სახ. კომისარიატის საიურისკონსულტო განყოფილების გამგე და იურისკონსულტი—1 კატეგორიაში, საკანონმდებლო განყოფილების მდივანი—11 კატეგორიაში და რევტრიბუნალების მდივანი—12 კატეგორიაში.

◆ **საქართველოს საგარეო ვაჭრობის კომისარიატის კომისიის ლიკვიდაცია.** განიხილა რა საქართველოს საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის სალიკვიდაციო კომისიის შუამდგომლობა გარდაცვალებულ პროფესორ ავალიანის სამაგიერო თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ, სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარს დაუყოვნებლივ შეუდგეს საქ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ლიკვიდაციის საქმეების რევიზიას. აღნიშნულ რევიზიის დამთავრებამდე კომისიის მუშაობა შეჩერებულია.

◆ **საქართველოს წარმომადგენელი საგარეო ვაჭრობის კომისარიატში.** საბჭოთა სამართველოს წარმომადგენლათ ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატში დანიშნულია ნ. აზირაგოვი. სასურსათო სახ. კომისარის მოადგილის თანამდებობის დატოვებით.

შეცდომების გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში მოთავსებულ წერილში: „**ჩვენი პარტიის გაჯანსაღება**“ ფრჩხილებში ჩასმული ადგილი, რომელიც იწყება სიტყვების შემდეგ: „**ვამბობთ ინტერნაციონალიზმთან და არა კოსმოპოლიტიზმთან**“ უნდა იყოს დახურული სიტყვებით: „სავსეა ჯანსაღი სასიცოცხლო წვენით“.

ხელოვნება

— **„სურამის ციხე“ ეკრანზე.** ამ დღეებში, თბილისის კინოებში აჩვენებენ დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეს“, პიესა დადგმულია რომანში აღნიშნულ ადგილების მიხედვით რეჟისორ პერესტიანის მიერ.

◆ **საბავშვო თეატრი.** სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველოს ლიტერატურული სამხატვრო სექციამ შეიმუშავა საბავშვო თეატრის მოწყობის პროექტი.

— **უკრაინული დასი სახალხო სახლში.** სახალხო სახლში უკრაინულმა დასმა უკვე დაიწყო მუშაობა.

— **პიანისტ ს. ბარერის კონცერტი.** შაბათს, 30 სექტემბერს, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში, შესდგება კონცერტი პიანისტის ს. ბარერის, შესრულებული იქნება შოპენის და ლისტის ნაწერები.

— **სტუდიელების საყურადღებოთ.** აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებულ სტუდიაში მისაღები გამოცდები დანიშნულია პირველ

ოქტომბერს, რუსთაველის თეატრში, დილის 10 საათზე. მეცადინობა დაიწყება 2 ოქტომბერს.

— **წარმოდგენა „ცხვრის წყარო“.** რეჟისორი კ. მარჯანიშვილი შეუდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე დასადგმათ, მიმდინარე სეზონში, პიესის მზადებას. პირველი რეპეტიცია დანიშნულია დღეს, წარმოდგენილი იქნება: „ცხვრის წყარო“.

— **ახალი წიგნები.** სოციალური აღზრდის მთავარი განყოფილების სამხატრო-სალიტერატურო სექციამ დაამზადა გამოსაცემად შემდეგი წიგნები: ქართულ ენაზე—„ჩვენი პოეტების მოთხრობათა კრებული“—2 წიგ., „ჩვენი ზღაპრები“—2 წიგ., „ოქროს ვერძი“—1 წიგ. „მეცნიერების მეგობრები“—1 წიგნი. „ზამთარი“—1 წიგ., და რუსულ ენაზე: „როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრებისაგან“—1 წიგნი“.

— **დისპუტი თეატრის შესახებ.** ორშაბათს 25 სექტემბერს, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში ცნობილმა რეჟისორმა კ. მარჯანიშვილმა და გრიგოლ რობაქიძემ წაიკითხეს მოხსენებები თეატრის შესახებ. მარჯანიშვილის აზრით („თანამედროვე „თეატრი“) თეატრალური ხელოვნება მოთავსებულია „რიცხვთა მეცნიერების“ (რიტმი) და ნების ხელოვნების შუა. მარჯანიშვილი წინაალმდეგია თეატრის—მსახიობთა პირადი განცდისა (მოსკოვის სამხატვრო თეატრი), ის მხარს უჭერს ისეთ თეატრს, სადაც თავისუფალი შემოქმედებაა მსახიობთა და მაყურებელთა, ისეთ ხელოვნებას—დღესასწაულს, რომელიც გაიმარჯვებს საყოველდღეო უფერობაზე. რობაქიძის აზრით („თეატრის რიტმი“) თეატრი არ არის შეგროვება ხელოვნებისა, სხვადასხ. ხელოვნების ყველა ელემენტები მასში მხოლოდ მასალაა. თეატრი—მანიური ხელოვნებაა. თეატრის საგნათ უკეთესია ჩავთვალოთ არა მოქმედება, არამედ „შემთხვევა“, შეგროვილი მოქმედება. თეატრი არის ესთეტიური განცდათა დროს აღებული, შეგროვილი „შემთხვევები“. დრამა უნდა იყვეს დამყარებული მუსიკალურ და სიმფონიურ პრინციპებზე. მსახიობი აღწევს მაგიას საღვთო აღზნების და გაგიჟების საშუალებით, ასკეზმის და აკულტურიზმის მეცნიერების გზებით. რეჟისორს უნდა ქონდეს უნარი საერთო მოქმედების საერთო ნაწილების ხედვის. უმაყურებლოთ თეატრი არ არის, მაგრამ ესთეტიური წარმოდგენა აგრეთვე არ არის გარეშე ჭვრეტის: მაყურებელი შემოქმედებით მონაწილეობს შეგროვილ მოქმედებათა ასრულებაში; საჭიროა ცოტაოდენი მომზადება მაყურებლის. თეატრი უკვე მოცემულია როგორც რიტმი—ყოველ ხალხს, ყოველ რასას და ყოველი ეპოქას აქვს თავის რიტმი, თანამედროვე თეატრი უნდა ქონდეს რკინის და მანქანის რიტმი აქედან კი სხვა და სხვა თეატრული ეფექტები, სიტყვის სიძუნწე და სახეობის კვეთილობა. მოხსენებების გარშემო გამართულმა კამათმა მიიღო ფართე და საინტერესო ხასიათი.

ნ. სულხანიშვილის ნაწარმოებთა გამოცემისათვის.

როგორც გავიგეთ, მთავარი სახელოვნო კომიტეტს განზრახვა აქვს გამოუშვას მთელი კრებული კომპ. ნ. სულხანიშვილის ნაწარმოების, რომ ამით აღდგენილ იქნას უგზო უკვლოთ დაკარგული ტალანტი. ვინაიდან ამ გადაწყვეტილებას ჩემის აზრით აქვს დიდი მნიშვნელობა ქართული მუსიკის ისტორიისა და სულხანიშვილის ძლიერი ნიჭის გაცნობისათვის, ამიტომ მე საჭიროდ მიმაჩნია მივაწოდო შემდეგი ცნობა სულხანიშვილის ნაწარმოების შესახებ.

განსვენებულს მრავალი ხელთ ნაწერები დარჩა საერთო და საეკლესიო ოთხივე ხმა. ბევრი მათგანი გვქონდა თფილისის სასულიერო სემინარიაში არსებულ ქართულ გუნდში, რომლის ლოტბარათ ვიყავი მე. 1913—16 წ. ყველა ეს ნაწერები იყო ჩემს განკარგულებაში, სანამ სემინარიას დავამთავრებდი 1916 წლ. სემინარიის დამთავრების შემდეგ აღნიშნული ნოტები ჩავაბარე სემინარიის ბიბლიოთეკის გამგეს თ. ციგანკოვს. 1916 წლიდან თფილისის სასულიერო სემინარია დაიკეტა და ყველა ეს ხელთ ნაწერები მოჰყვა სემინარიის არქივში. ამ ჟამად არქივი სემინარიაში აღარ არის. გადატანილი უნდა იყოს სასულიერო სასწავლებლის შენობაში. უფრო ნამდვილი ცნობები არქივის შესახებ უნდა ჰქონდეს პროფ. კეკელიძეს, რომელიც იმ დროს იყო სემინარიის რექტორად.

თუ ვინიცობაა არ აღმოჩნდა ეს ხელთ ნაწერები, მაშინ შეიძლება მისი ნაწარმოების გადმოღება, ვინაიდან, ვინც თფილისის სასულიერო სემინარიის ქართულ გუნდში მღეროდა მაშინ მათი უმრავლესობა ამ ჟამად სახ. უნივერსიტეტში სწავლობს.

ლადო გაგაშელი.

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარული № 184

ყველა რაიკომებს

საქართველოს კომპარტიის წევრთა გენერალურ ხელახალი რეგისტრაციის გამოცხადების გამო, ტფილისის კომიტეტი აცხადებს ყველა რაიონულ ორგანიზაციების საყურადღებოდ და სახელმძღვანელოთ, რომ:

1) ამ განცხადების დღიდან ხელახალი რეგისტრაციის დასრულებამდე აკრძალულია პარტიის წევრთა ყოველგვარი გადაყვან-გადმოყვანა და მივლინება (გამონაკლისის სახით დასაშვებია მივლინება ფრიად მნიშვნელოვან და გადაუდებელ შემთხვევაში, რაც უნდა მოხდეს რაიკომის მდივნის თანხმობით და ტფილისის კომიტეტის მდივანის ნებართვით).

2. ახალ წევრთა მიღება და აგრეთვე კანდიდატების ნამდვილ წევრებად გადაყვანა უნდა იქნეს შეჩერებული სათანადო განკარგულებამდე.

3) არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება პარტიის წევრების გადაყვანა ერთი იაჩეიკიდან მეორეში.

4) ყველა პირადი საქმეები, ანგარიშები პარტიულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ, ახლო მომავალში უნდა იქნან მოყვანილი სრულ წესრიგში.

წინადადება გეძლევათ აცნობოთ ზემოხსენებული ყველა იაჩეიკების მდივნებს და წინადადება მისცეთ მათ შეატყობინონ რაიკომებს ამა წესების დარღვევის შემთხვევები.

ტფილისის კომიტეტის მდივანი **მ. კახიანი.**
ტფილ. კომიტ. საორგანიზაციო განყოფილების გამგე **რუბენი.**

პარტიის უმაღლეს ორგანოს დადგენილებით, (გენერალურ ხელახალი რეგისტრაციის, საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრთა შემოწმების და გაწმენდის შესახებ,

ცენტრალურ შემმოწმებელი კომისია

კორომჩენკოს თავმჯდომარეობით და წევრთა ამხ. თოდრიას და სტურუას შემადგენლობით იწყებს რა საპასუხისმგებლო და რთულ მუშაობას,—მიმართავს პარტიის წევრებს და უპარტიო ამხანაგებს, რომელთათვისაც ძვირფასია მმართველი პარტიის ძლიერება და მუშურ-გლეხური ხელისუფლების აყვავება—დაეხმარონ ცენტრალურ კომისიას მის რთულ მუშაობაში მასალების მიწოდებით, პარტიის როგორც უბრალო წევრთა ისე პასუხისმგებელ მუშაკთა მიერ ჩადენილ ბოროტ-მოქმედების და შეუფერებელ მოქმედებათა შესახებ.

კომისიისადმი ყოველი მიმართვა და პარტიის წევრთა წინააღმდეგ საბრალმდებლო მასალები უნდა იყოს წარმომდგენის მიერ ხელმოწერილი, ხოლო ცენტრალური კომისია იძლევა გარანტიას საიდუმლოდ შეინახოს მასალის მიმწოდებლის ვინაობა.

ყველა ამხანაგებს, პარტიულებს და უპარტიოებს, რომელნიც გამოდიან საზოგადო კრებებზე გაწმენდის დროს ამა თუ იმ წევრის ბოროტმოქმედებათა გამოსამჟღავნებლად, მიუხედავად მისი მდგომარეობისა სამსახურში, კომისია აძლევს გარანტიას დაცულ იქნეს მათი სრული ხელშეუხებლობა.

ცენტრალურ შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარე: **კორომჩენკო.**
წევრები: **თოდრია, სტურუა.**

მისამართი: რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, პეტრე დიდის ქ № 8, ოთახი 8.

ხუთშაბათს, 28 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის შენობაში შესდგება

თბილისის კომიტეტის

პლენუმის სხდომა

სავალდებულოა ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

2—2 თბილისის კომიტეტის მდივანი: **კახიანი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა პარასკევს, 29 სექტემბერს,

ერთიან პარტიულ დღეს

დასვან დღის წესრიგში:

1) ბაქოს კომუნის დაღუპვა და 26. 2) პარტიის გაწმენდა.

როგორც მასალები ისარგებლონ: პირველი საკითხისათვის: „ბაკინსკი რაბოჩის“ საიუბილეო ნომრით 20 ოქტომბრიდან (შეიძლება შეძენა თბილისის კომიტეტის საპროპაგანდო სააგიტაციო განყოფილებაში 25,000 მანეთად); მეორე საკითხისათვის—ბროშიურით „მეტი ყურადღება პარტიას“ და გაზეთ „ზარია ვასტოკით“ 26 სექტემბერი № 83.

(3—2) თბ. კომიტ. მდივანი: **კახიანი.**

საქართველოს კომ. პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი

წინადადებას აძლევს კომუნისტ-სტუდენტებს სამი დღის განმავლობაში გატარდნენ რეგისტრაციაში მეოთხე რაიკომის სააღრიცხო სტატისტიკურ განყოფილებაში (გოლოვ. პროსპ. 32).

(3—3) რაიკომის მდივანი: **ამახი.**

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

წინადადებას აძლევს ყველა ამხანაგებს, რომელნიც მიმაგრებული არიან იაჩეიკებთან, გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში და გაეცნონ მასალებს ბაქოს კომუნას და 26 კომუნარების შესახებ, ვინაიდან 29 სექტემბერს ერთიან პარტიულ დღეს იაჩეიკების სხდომაზე მათ უნდა გააკეთონ ვრცელი მოხსენება ამ თემაზე.

ტფილისის კომიტეტის საიგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების
(3—3) გამგე—**მ. ესხენი.**

შაბათს, 30 სექტემბერს, დღის 12 საათზე, თბ. კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება

ოქტომბრის დღესასწაულის მომწყობ კომისიის თათბირი

მოწვეულია შემდეგი ამხანაგები: **ხუჯაპურიძე**—პოლიტიკური განათლების მთავარ განყოფილებისაგან, **კოჟინევი**—თბილისის კომიტეტის ახალგაზრდობის კომკავშირისაგან, კავკასიის ცალკე არმიის და საქართველოს არმიის წარმომადგენლები.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება სთხოვს ამხანაგებს გამოცხადდენ თავის დროზე.

თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო
(3—1) განყოფილების გამგე: **მ. ესხენი.**

საქართველოს კომპარტიის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

აცხადებს ყველა ამხანაგების საყურადღებოდ, რომ მუშათა ფაკულტეტზე მიღება რუსულ განყოფილებაში დამთავრდა, ქართულ განყოფილებაში—გრძელდება.

მუშათა ფაკულტეტზე მისაღები გამოცდები დანიშნულია კვირას 1 ოქტომბერს, დილის 9 საათზე ქიმიურ ლაბორატორიის ბინაზე (სერგიის ქ. № 8. შესავალი ლერმანტოვის ქუჩიდან).

3—1. ტფ. კომ. საგიტ. საპროპ. განყოფილების გამგე **მ. ესხენი**

კვირას, 1 ოქტომბერს, დილის 10 საათზე მუშათა მთლიან კოოპერატივის ბინაზე (კირკის და კამოს ქუჩების კუთხეში) გაიმართება

თათბირი

კოოპერაციის იმ მუშაკთა, რომელნიც გატარდენ რეგისტრაციაში საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტში.

დღის წესრიგი:

1) კოოპერატიული პოლიტიკა სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციის თვალსაზრისით, 2) კოოპერატიული პოლიტიკა საქართველოში და პარტიის მომავალი ამოცანები. დასწრება ყველა ამხანაგებისა, კოოპერაციის მუშაკთა, რომელნიც ჩაეწერენ ტფილისის კომიტეტში სავალდებულოა.

(3—3) ტფილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

თბილისის ორგანიზაციაში.

(მუშაობა აგვისტოს განმავლობაში).

თბ. კომიტეტის მუშაობა აღნიშნულ თვის განმავლობაში წარმოებდა საკმაოდ ინტენსიურად და სრულებითაც არ ჩამორჩება წინანდელ თვეების მუშაობას.

თბ. კ ორგანყოფილებამ, ადგილობრივი ორგანიზაციების განუხმტკიცებლად, გაატარა შემდეგი ღონისძიებანი: იაჩეიკების გამოკვლევა, პასუხისმგებელ მუშაკების გადანაწილება და თბ. კ. წევრების მიმაგრება თვითეულ რაიონზე რაიონის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობისათვის. იაჩეიკების გამოკვლევას უნდა გამოერკვია დეფექტები იაჩეიკების მუშაობაში, შემოწმება მიმაგრებულ ამხანაგების მუშაობის, აგრეთვე შეემოწმება კომიაჩეიკის კავშირის ახ. კომ. კავშირთან, ურთიერთობა ადგკომებთან და სხ. შემდეგ მოხდა თბ. კ. წევრების ახალი გადანაწილება და მიმაგრება თვითეულ რაიონზე ადგილებზე მუშაობის სახელმძღვანელოდ. გრძელდება დამხმარე იაჩეიკების ორგანიზაცია, ვინაიდან მათი არსებობა მიჩნეულია მიზანშეწონილად და აუცილებლად. ეს იაჩეიკები თავიანთ მუშაობაში არ უნდა დაემსგავსონ პოლიტწრეებს, არამედ უნდა არჩევდნენ მიმდინარე ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, ხოლო თეორიულ მომზადების მისაღებად, მისი წევრები უნდა შედიოდნენ პოლიტწრეებში.

შეღავათიანია დებულება ურთიერთ დამხმარე კასსაზე, და 3 პროცენტიანი გადარიცხვა ურთიერთ დამხმარე ფონდში გავრცელებულია ყველა ამხანაგებზე, რომელნიც ლებულობენ პასუხისმგებელ ჯამაგირს სამეურნეო ორგანოებში.

რაიკომების საორგანიზაციო მუშაობა ატარებდა ჩვეულებრივ ხასიათს და არავითარი დიდი ორგანიზაციულ დაწყებულებას რაიონებში ადგილი არ ჰქონია.

აღსანიშნავია ორგანიზაციების საკმაოდ საგრძნობი ზრდა. პარტიაში—მიღების გახსნის მომენტიდან დამტკიცებულია ახალ შემოსული 116 კაცი; მათგან 12 ინტელიგენტი.

თბ. კ. საინსტრუქტორო მუშაობა აგვისტოს განმავლობაში გამოიხატებოდა ცირკულიარების და ინსტრუქციების დაგზავნაში, აგრეთვე საინსტრუქტორო მოხსენებების და თათბირების მოწყობაში, აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებაში და რაიონებში.

რაიკომების აღმრიცხ. განყოფილებათა გამგეების შეცვლასთან დაკავშირებით საღრიცხვო მუშაობა თბილისის ორგანიზაციაში ძალიან მოიკოჭლებდა. თბ. კომიტეტში მთელი ენერგია აღრიცხვის ქ. განყოფილების მიმართული იყო უმუშევარ პარტიულ ამხანაგების განაწილებისაკენ. ამგვარად, განაწილება ნთქავს აღრიცხვის ქვეგანყოფილების მთელ დროს, და აღრიცხვა, როგორც ასეთი, ძალიან მოისუსტებს.

მუშაობა იაჩეიკებში მიმდინარეობს ჩვეულებრივი წესით. იაჩეიკები სხდომებს მართავენ ერთიან პარტიულ დღეს და დღის წესრიგს იმუშავებს თბ. კ. აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება, რაც ხელს უწყობს მუშაობის გეგმაშეწონილებას. იაჩეიკებს ხელმძღვანელობენ პასუხისმგებელი ამხანაგები, რომელნიც ფრიად გულმოდგინედ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობებს.

ივლისის თვიდან თბილისის ორგანიზაციაში იწყება პოლიტწრეების სტიქიური ზრდა, მაგრამ არავითარი გეგმა-შეწონილება ორგანიზაციასა და მუშაობაში არა ყოფილა, აგრეთვე არ ყოფილა განსაზღვრული პროგრამა. ხელმძღვანელები აწარმოებდნენ მუშაობას თავიანთი შეხედულების მიხედვით მანამდე, სანამ აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებამ თავის თათბირებზე არ გამოიმუშავა ამ წრეების ორგანიზაციის გეგმა და მეთოდი. პროგრამა შევსებულ იქნა სპეციალური კურსით მოკლე მიმოხილვის აგებულებაზე. პოლიტ წრეები იწყობიან იაჩეიკების, დამხმარე იაჩეიკების, ახ. კომ. კავშირის წრეების და უპარტიოებისაგან.

თბილისის ორგანიზაციაში შექმნილია 31 პოლიტწრე, რომელშიაც შედის 500 მდე მსმენელი.

მუშაობდა აგრეთვე 6 პარტსკოლა, რომელთა პროგრამა გაფართოვებულ იქნა.

წარმოებებში ჩატარდა საერთო კრებები მიმდინარე საჭირბოროტო საკითხების შესახებ; მონაწილეობა მიიღეს ფართე უპარტიო მასსებმა.

აგვისტოს განმავლობაში გამოშვებულ იქნა 265 ეკზემპლიარი წიგნი და ბროშურა ქართულ ენაზე და 310 ეკზ. რუსულზე. კავშირი ახ. კომ. კავშირთან მოგვარებულ იქნა. შემოღებულია ურთიერთი წარმომადგენლობა კ. პ. და კ. ა. კ. იაჩეიკებისა.

აგვისტოში დაიწყო საქართველოს პროფკავშირთა ყრილობები, რომელთა იდეური ხელმძღვანელობა და ჩატარება სავსებით დააწვათ კავშირების კომფრაქციებს. ეს ყრილობები ჩატარდა ფრიად წარმატებით, საქმიან მუშაობის პირობებში. ყრილობებზე ატარებდნენ ყველა საკითხებს და სიებს, წამოყენებულს კომფრაქციის მიერ, რაც ამტკიცებს კომპარტიის გავლენას კავშირებზე.

კავშირი პროფკავშირებთან გვაქვს ცალკე კავშირების კომფრაქციების საშუალებით.

კოოპერაციის მუშაობის გასაუმჯობესებლად გამოყოფილ იქნა ივლისში სპეციალური კოოპერატიული კომისია, რომლის პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს პრაქტიკულ ღონისძიებათა გამომუშავება მუშაობის გასაუმჯობესებლად კოოპერაციაში. ამ კომისიამ აგვისტოს განმავლობაში უკვე შესძლო საკმაო რეალურ შედეგების მოცემა.

პროვინციაში

მენშევიკები ბანდიტების როლში.

(წერილი ტყიბულიდან)

3 სექტემბერს, დღის 12 საათზე საწირიდან ტყიბულში მიმავალ დათუაძეს, რომელსაც ხუთი მილიონი მანეთი მიჰქონდა, გზაში დახვდომია ვლადიმერ გრიგოლის ძე ცირეკიძე ერთი ამხანაგით დანებით და ფულის წართმევა და მოკვლა დაუპირებიათ, მაგრამ ეს ვეღარ მოუსწრიათ, ვინაიდან ატეხილ ყვირილის დროს მათ თავზე წამოდგომია სად. ტყიბულის მილიციონერები და დამნაშავეები შეუპყრიათ. გამოძიების მოხდენის შემდეგ ბრალდება დაუმტკიცდათ და და საქმე შემდეგი მსვლელობისათვის გადაეცა ტრიბუნალს.

ჩვენ აქ არ შევეკითხებით მენშევიკურ პარტიას, ირიცხება თუ არა ვლ. გრიგოლის ძე ცირეკიძე პარტიის წევრად. ჩვენ მას კარგად ვიცნობთ. ტყიბულის მენშევიკების მოღვაწეობაში მას ყოველთვის პირველი ადგილი ეჭირა, როგორც პარტიის ძველ წევრს. ეს ის ვაჟბატონია, რომელიც 1921 წ. 1 სექტემბერს ტყიბულის მაღაროების პროფკავშირის გამგეობის არჩევნების დროს მენშევიკური პარტიის სიით გამოვიდა; ეს ის ვაჟბატონია, რომელიც ა. წ. თებერვალში მაღაროების მუშათა საბჭოს არჩევნების დროს მუშებს ბოიკოტისაკენ მოუწოდებდა და როდესაც მათგან უარი მიიღო, რამოდენიმე ამხანაგით დემონსტრატიულად დასტოვა დარბაზი... და სხვა ასეთი „მოღვაწეობა“ ბევრია მის მხრით, მენშევიკურ პარტიის წევრის ასეთი მოქმედება მაჩვენებელია, რომ ეს პარტია როგორც პოლიტიკური პარტია, გაკოტრდა და გადაიქცა პოლიტიკურ ბანდათ. ამის შემდეგ თუ კიდევ მისდევს მათ რომელიმე პატიოსანი მუშა, ისიც ჩამოშორდება და ჩვენ საქმე გვექნება წმინდა ბანდიტების ჯგუფთან. მასთან [illegible] იცის საქართველოს [illegible] ხმა და სულ მალე შესძლებს ამ ჯგუფის სამუდამოდ ალაგმვას და შესაფერი ადგილის მიჩენას.

იაგო.

სარედაქციო კოლეგია

სიმონ ივანეს ძე გრძელიშვილი მეუღლით ოლღათი და შვილებით კონსტანტინე, მილიტა და გიორგი, ივანე, ნიკოლოზი, კონსტანტინე და ოლღა კონსტანტინეს ძენი, მარსელა და იოსებ ალექსანდრეს ძენი, ნინო და ბარბარე გრძელიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ 26 სექტემბერს ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი და საყვარელი პირველის და, მხოლოდ მეორეების მამიდა და მული

ეკატერინე ივანეს ასული გრძელიშვილისა

გასვენება მოხდება საკუთარი ბინიდგან, კვირაცხოველის ქუჩა, სახ. № 81. ანჩისხატის ტაძარში, ხუთშაბათს ამა სექტემბრის 28-ს დილის 9 ნახ. საათზედ. დაკრძალვა—წმ. პეტრე პავლეს სასაფლაოზედ.

(1—1)

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების

საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიეცემა პასუხისგებაში.

(0—29)

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადების ამკრეფი

ბიურო

აცხადებს

რომ ვერის ბორანზე 21 სექტემბრიდან გადაყვანის ქირა იქნება 2.000 მანეთი.

(კრ. 345—6—5) საიჯარო მაგიდის გამგე **დარახველიძე.**

ქალ. თბ. აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ქ. თბილისში შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის გამტარებელი

კომისია

აცხადებს ყველა შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის გადამხდელთა საყურადღებოთ, რომ ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილების თანახმად შეწყვეტილია ჯარიმების გადახდევინება 24 სექტემბრიდან ერთი კვირის განმავლობაში, ისე რომ ის პირნი, რომელთაც არ შეუტანიათ შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადი, უნდა შეიტანონ

ოქროს 5 მანეთის გარდა ჯარიმა მხოლოდ სამასი ათასი (300,000) მანეთი ქართული ფულის ნიშნებით.

კომისიის თავმჯდომარე—თაქთაქიშვილი.
პასუხისმგებელი მდივანი და კომისიის წევრი—რუხაძე.

(354—2—1)

საარქივო საგაზეთო **ქაღალდი**

რაოდენობით 150 ფუთი

იყიდება

ხელმისაწდომ ფასებში

ცნობების მიღება შეიძლება: გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორაში. რუსთაველის პროსპ. № 24.

(5—1)

გარე-უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის ანდრია ვასილის ძე კირილენკოსი გამოაცხადონ თავიანთი უფლება ორი თვის განმავლობაში, აღნიშნულ, კირილენკოს, ქონებაზე.

(358—1—1) **სახალხო მოსამართლე** (ხელს აწერს)

ქ. თბ. მე-9 უბ. მოსამართლე

იწვევს გარდ. დიმიტრი დავითის ძე შავერზაშვილის მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ მათ ამ პუბლიკაციის გამოქვეყნების დღიდგან ორი თვის ვადაზედ თავიანთი უფლებანი ხსენებულ გარდაცვალებულის დარჩენილ ქონებაზედ.

(360—1—1) **სახალხო მოსამართლე** (ხელს აწერს).

ტირაჟი 15 000 ნ. დ. ს. ც.

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.